# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 6 ოქტომბერი 2001 №191 (1464) · ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამაშს ვიწყებთ დილიდან

## ალექსანდრე ჩივაძის გამამხნევებელი ვარჯიში



ალექსანდრე ჩივაძე

რუმინეთთან სადღეისო მატჩის წინ საქართველოს ნაკრებმა ბუქარესტის გარეუბანში სალამოხანს ერთხელაც ივარჯიშა. მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე ჩივაძის განკარგულებაში ამჯერად 17 ფეხბურთელი იყო. როგორც გუშინ გაუწყეთ, ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე მუხლის ტკივილმა შეაწუხა და დღეს ვერ ითამაშებს. მის გარდა ეროვნულ გუნდს რუსეთის „როსტსელმაშის" მცველი ოთარ ხიზანეიშვილიც გამოაკლდა, რომელიც გუშინდელი მატჩისთვის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა ითხოვა. თუმცა, შესაძლოა, ხიზანეიშვილი სადღეისო მატჩის განაცხადშიც იყოს.

სხვათა შორის, ალექსანდრე ჩივაძემ ცოტა არ იყოს უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, ის ნაკრებს დღეს დილითაც ავარჯიშებს. როგორც ნაკრების მწვრთნელთაგანმა ოთარ გაბელიამ გვითხრა, ვარჯიში 12 საათზე დაიწყება და ერთ საათს გასტანს.

დღევანდელი მატჩი კი ბუქარესტის „სტიუას" სტადიონზე ჩვენი დროით 23.45 საათზე დაიწყება.

**კობა ინასარიძე**





ინგლისელთა შვედ მწვრთნელს სვენ გორან ერიკსონს, ბერძენთა გერმანელი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი დამარცხებით ემუქრება

# მსოფლიო ევროპის წილს დაითვლის

ამ უქმეებზე წლევანდელი ევროპული სანაკრებო ფეხბურთი თითქმის დასრულდება. დარჩება მხოლოდ ნოემბერში გასამართი საპლეიოფო შეხვედრები. დღეს და ხვალ კი გაირკვევა ის ექვსი ნაკრები, რომლებიც ჯგუფებში მოპოვებული პირველი ადგილით კორეა-იაპონიაში წასვლას გაინაღდებენ. დაძაბულობა და ინტრიგა დიდია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჯგუფში ადრევე ჩარჩენილ ჰოლანდიას, ალბათ, იუგოსლავია და შოტლანდიაც მიემატება. ისიც საფიქრებელია, რომ გერმანია ვერ გადაასწრებს ინგლისს და პლეი ოფში მოუწევს თამაში, სადაც მისი მეტოქე, სავარაუდოდ, უკრაინა იქნება. თუმცა, შესაძლოა, რუდი ფიოლერის გერმანიას ბელარუსთანაც მოუწიოს საქმის დაჭერა. ერთი სიტყვით, საინტერესო ბევრი რამაა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებამდეც სულ რამდენიმე საათია დარჩენილი.

იხილეთ მეოთხე-მეხუთე-მეექვსე-მეშვიდე გვერდები



გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სათუო გაიხადა

**ახალგაზრდულები**

## რუმინეთი 2 საქართველო 1

# რუმინეთი მოსაგებად შეიცვალა

*ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის რვა მატჩში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინ მეშვიდედ დამარცხდა და ჯგუფში სამარცხვინო ბოლო ადგილი დაიკავა.*

*ქართველი ახალგაზრდები ბუქარესტის „კოტრეჩენის" სტადიონზე 2 ათასი მაყურებლის თვალწინ რუმინელებთან 1:2 დამარცხდნენ.*

*ანგარიში 27 წუთზე დრაგანმა გახსნა, 77-ზე წონასწორობა გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ფიურტის" ნახევარმცველმა გიორგი დეკანოსიძემ აღადგინა, თუმცა ხუთ წუთში, დრაგანის ნაცვლად მოედანზე შესულმა ბუქურმა მასპინძლებს გაამარჯვებინა.*

იხილეთ მეორე გვერდი

ევროპის 2002 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი

## რუმინეთი 2:1 საქართველო

ბუქარესტი. კოტროჩენი. 2 000 (ტევადობა 10 000). 5 ოქტომბერი. 23.45 საათი

1:0 დრაგანი (27), 1:1 დეკანოსიძე (77) 2:1 ბუქური (82)

**რუმინეთი:** დოლია, ბალანი, რატი, გალამაზი, გიოანე, გიონია, პატრასკუ, ბურჩა (ბრატუ 46), დრაგანი (ბუქური 65), ჩერნატი, სანმარტიანი (დიკა 70)
**მწვრთნელი:** იონ მოლდოვანი

**საქართველო:** ლომაია, ხიზანეიშვილი, კანდელაკი, სალუქვაძე, კაკაშვილი, ახალკაცი, კვირკველია, სვანაძე (წუწუნავა 65), დეკანოსიძე, ადამია (რ. გოცირიძე 87), ხუროძე
**მწვრთნელი:** ვახტანგ კოპალეიშვილი

**გაფრთხილება:** კანდელაკი (41), ბალანი (72), გალამაზი (90)

**მსაჯები:** მილან მიტროვიჩი; სილვო დორონშაკი, ივან ზულიჩი; რობერტ ზირშტაინი (ყველა სლოვენია)

**უეფას კომისარი:** პეტერ მიკელსენი (დანია)

დასაწყისი პირველ გვერდზე

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა, რომელსაც ნამატჩევს ბუქარესტში შევეხმიანეთ, გვითხრა:

— თამაშით კმაყოფილი ვარ. ჩვენმა ბიჭებმა განსაკუთრებით მეორე ტაიმში იყოჩაღეს. მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შევქმენით და ანგარიშიც გავათანაბრეთ, მაგრამ მატჩის მიწურულს ერთი უხეში შეცდომის გამო დავმარცხდით. ჩვენს თამაშში ახალი არაფერი იყო, იმავე ტაქტიკური სქემით ვითამაშეთ, როგორც ლიტვასთან მოგებული მატჩისას. რა თქმა უნდა, სამუშაო ბევრი გვაქვს და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობა თუ გავაგრძელე, იმედი მაქვს სამომავლოდ ყველაფერს გამოვასწორებ. ჩვენთან მოთამაშე ოთარ ხიზანეიშვილი ეროვნულ ნაკრებს წუხელვე შეუერთდა. სხვათა შორის, მან ჩინებულად ითამაშა. მის გარდა კი ლომაიას, კანდელაკს, სალუქვაძეს, დეკანოსიძეს, ხუროძეს და ახალკაცს გამოვარჩევ.

**კობა ინასარიძე**

### იტალია 0:2 უნგრეთი

0:1 საბიჩი (13), 0:2 ფეპერი (73)
**იტალია:** ჯ. როსი, ტრონზე (ლუკინი 46), ოლივე, მორეტი, ფიკარი (გატი 54), პინცი, კორენტი, კასტელინი, პინარდი, ჯილარდინო (კალაიო 65), იაკინტა
**მწვრთნელი:** კლაუდიო ჯენტილე
**უნგრეთი:** ტაკაჩი, სელეში, დიეპეში, კოროლოვსკი, ლოვი, ტოკოდი, ბუდაკი (პოლონკაი 62), ფარკაში, პალმოში, საბიჩი (სალაი 87), ზ. ფეპერი (კანტა 90)
**მწვრთნელი:** იმრე დუნაი
**გაფრთხილება:** დიეპეში, ოლივე, გატი
**მსაჯი:** ვიდლაკი (ჩეხეთი)
10 000 მაყურებელი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 6 | 1 | 1 | 14:5 | 19 |
| რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 | 16 |
| უნგრეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 12:9 | 15 |
| ლიტვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5:17 | 6 |
| საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 | 9:17 | 3 |

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XI ტური
ბოვე 3:0 სენტ ეტიენი
გენიონი 2:1 ამიენი
ისტრი 0:1 ლე მანი
ლავალი 2:1 კრეტეი
ლე ავრი 1:0 ვასკაალი
ნიცა 4:1 გრენობლი
ნიორი 1:2 შატორუ
სტრასბური 3:1 კაენი
მარტიგი 0:1 აიაჩო

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
XII ტური
გრიმსბი 0:2 როტერჰემი
მეორე დივიზიონი
XII ტური
ბორნმუთი 3:2 ოლდემი
ბრაიტონი 1:2 ბრენტფორდი
ბრისტოლი 3:0 ჩესტერფილდი
პორტ ვეილი 5:0 კემბრიჯი
კოლჩესტერი 2:0 რედინგი
მესამე დივიზიონი
XII ტური
ჩელტენემი 2:1 ლინკოლნი
მენსფილდი 3:2 ლეიტონი
რაშდენი 2:1 ჰარტლპული
შრიუსბერი 1:1 ჰალი
ტორკი 2:1 საუთენდი
ლუტონი 5:2 დარლინგტონი
ჰალიფაქსი 0:0 სკანთორპი

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XI ტური
დიუსელდორფი 3:4 მიუნსტერი
სამხრეთ რეგიონალლიგა
XII ტური
ბურგჰაუზენი 1:0 შტუტგარტი (მოყვ.)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია. II წრე

A ჯგუფი. VII ტური
ირანი 1:0 ტაილანდი
ერაყი 1:2 საუდის არაბეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდის არაბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:7 | 14 |
| ირანი | 6 | 3 | 3 | 0 | 7:3 | 12 |
| ერაყი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:8 | 7 |
| ბაჰრეინი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| ტაილანდი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | 3 |

## რუსეთი

გადადებული მატჩი
სოკოლი 2:0 ანჟი

## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
VIII ტური
მაასტრიხტი 2:2 ვოლენდამი
ექსელსიორი 2:1 დორდრეხტი
ეინდჰოვენი 1:1 იგლზი
ჰელმონდი 0:0 ჰერაკლესი
ტელსტარი 4:2 ვენლო

## ბელგია

მეორე დივიზიონი
VIII ტური
ვირტონი 4:1 გეელი

UNDER-21 Championship

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი
იუგოსლავია 8:0 ლუქსემბურგი
რუსეთი 3:3 შვეიცარია
II ჯგუფი
პორტუგალია — ესტონეთი გადაიდო
ირლანდია 3:0 კვიპროსი
III ჯგუფი
ჩეხეთი 8:0 ბულგარეთი
დანია 4:0 ისლანდია
მალტა 2:2 ჩრდ. ირლანდია
IV ჯგუფი
მოლდოვა 2:2 თურქეთი
შვედეთი — აზერბაიჯანი
დღეს გაიმართება
მაკედონია — სლოვაკეთი
დღეს გაიმართება
V ჯგუფი
სომხეთი 2:0 ნორვეგია
პოლონეთი 3:0 უკრაინა
უელსი 1:2 ბელარუსი
VI ჯგუფი
ხორვატია 1:0 ბელგია
შოტლანდია 1:0 ლატვია
VII ჯგუფი
ისრაელი — ავსტრია გადაიდო
საფრანგეთი — ბოსნია
დღეს გაიმართება
IX ჯგუფი
ინგლისი 2:1 საბერძნეთი
გერმანია 2:0 ფინეთი

# ლოკომოტივი დაიძრა საქართველო ბაქანზე დარჩა

**გუშინ** „ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებამდე ბოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარა. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებს მეტოქეობას უმაღლესლიგელი თბილისის „ლოკომოტივი" უწევდა. რკინიგზელთა თავკაცმა კახა ცხადაძემ ჭაბუკებს პირველ ტაიმში თითქმის უძლიერესი შემადგენლობა დაუპირისპირა, მეორე ნახევარში კი სხვა ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის შანსი.

შეხვედრის საწყისი წუთები თანაბარ ორთაბრძოლაში მიილია, თუმც „ლოკომოტივის" უპირატესობა მალევე გამოიკვეთა. ჭაბუკებს სულ უფრო უჭირდათ უფროს კოლეგებთან გამკლავება და მათი შეტევების მოგერიება. ისიც ფაქტია, რომ რკინიგზელები თავს ზედმეტად არ იწუხებდნენ და სურვილისამებრ ავიწროვებდნენ მეტოქეს. ჩვიდმეტწლამდელები იშვიათად გადადიოდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე, თუმც ერთი-ორჯერ მწვავე კონტრიერიშით უჩხვლიტეს მათ. ჟორჟიკაშვილის შეგირდებიდან ყველაზე მეტად სანდრო იაშვილი აქტიურობდა. მას თავის გამოჩენის შანსიც ჰქონდა, თუმც ხელსაყრელი მომენტი ქარს გაატანა.

ტაიმის შუაგულს „ლოკომოტივმა" ორი უპასუხო გოლი გაიტანა. ჯერ ანჩაბაძის ჩაწოდებულ კუთხურს მოუძებნა სწორი გაგრძელება გიორგი დავითნიძემ, შემდეგ კი დავით ჯანაშიამ ეფექტური სოლოს შემდეგ შეარხია ზვიად ჩალაძის კარის ბადე. პირველი ნახევარიც ასე დასრულდა.

მეორე ტაიმში კახა ცხადაძემ ხუთი ფეხბურთელი გამოცვალა, თუმც ამას ჩვიდმეტწლამდელთათვის არანაირი ხეირი არ მოუტანია. ისინი ზედმეტად შებოჭილად გრძნობდნენ თავს. ნათლად გამოიკვეთა ფეხბურთელთა შეუთამაშებლობაც. საკმაოდ ხშირად იყო მომენტები, როდესაც ერთი მოთამაშის ჩანაფიქრს პარტნიორი საერთოდ ვერ ხვდებოდა და ბურთიც უაზროდ იკარგებოდა. მიუხედავად ამისა, ჭაბუკებმა რამდენჯერმე საკმაოდ გააზრებული შეტევაც განახორციელეს, თუმც მიზანს ვერ მიაღწიეს.

„ლოკომოტივმა" მეორე ნახევარშიც ივარგა. ჯერ 55-ე წუთზე ალეკო კაიდარაშვილმა შეირგო დათვაძის კარგი პასი, ოციოდ წუთში კი დავით გოდერძიშვილმა გაილაღა და მეოთხედ დასაჯა მეტოქე. რკინიგზელებს ამის გარდა კიდევ ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდათ, თუმც მეტის გატანა ვერ შეძლეს.

ჭაბუკები 0:4 დამარცხდნენ. მართალია, მათი მეტოქე უმაღლესლიგელი „ლოკომოტივი" იყო, მაგრამ ოფიციალური მატჩების წინ დიდი ანგარიშით მარცხი მაინც უარყოფით ფსიქოლოგიურ წნეხში მოაქცევს ფეხბურთელებს. იქნებ ვცდებით, მაგრამ ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების მზადყოფნით თუ ვიმსჯელებთ, ისრაელთან და ბოსნიასთან შეხვედრებში წარმატების შანსი მცირეა. მართალია, ერთი წაგებით დასკვნების გამოტანა არასწორია, მაგრამ... ყველაფერს ნათელი ორ კვირაში მოეფინება.

**ბახა შალამბერიძე**

ამხანაგური მატჩი

## ლოკომოტივი 4:0 საქართველო U17

თბილისი. ლოკომოტივი. 500 (ტევადობა 25 600). 5 ოქტომბერი. 16 საათი

1:0 დავითნიძე (21), 2:0 ჯანაშია (27), 3:0 კაიდარაშვილი (55), 4:0 გოდერძიშვილი (73)

**ლოკომოტივი:** ივარდავა, ბალაშვილი, დავითნიძე, გოგნაძე, მორჩილაძე, ქორიძე, ონიანი, ქიქველიშვილი, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია
**შეცვლაზე ითამაშეს:** კაიდარაშვილი, დ. გოდერძიშვილი, დათვაძე, ელასოვი, მაჩხაძე
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**საქართველო U17:** ჩალაძე, კალაძე, ბარაბაძე, კუტივაძე, მიქიაშვილი, კაპანაძე, კვახაძე, ხოჯავა, ყველაშვილი, იაშვილი, ელიავა
**შეცვლაზე ითამაშეს:** კ. ჯინჭარაძე, გ. ჭელიძე, კაციტაძე, ლონლაძე, ჩიჩუა, გ. ფიფია
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**მსაჯები:** მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე, ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)



კობა ჟორჟიკაშვილი (მარჯვნივ) და კახა ცხადაძე

### საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| ზვიად ჩალაძე | 19.03.85 | ლოკომოტივი (თბილისი) |
| კახა ჯინჭარაძე | 25.03.85 | ვიტ ჯორჯია 2 (თბილისი) |
| **მცველები** | | |
| ირაკლი ჩიჩუა | 18.04.85 | ლოკომოტივი (სამტრედია) |
| თემურ ლონლაძე | 08.09.85 | ივერია (ხაშური) |
| ლაშა ჭელიძე | 13.03.85 | ტორპედო (ქუთაისი) |
| ზურაბ ბარაბაძე | 30.06.85 | ნორჩი დინამოელი (თბილისი) |
| ანზორ კალაძე | 09.08.85 | 35-ე საფეხბურთო სკოლა |
| დავით მიქიაშვილი | 08.04.85 | ყაზბეგი (თბილისი) |
| **ნახევარმცველები** | | |
| გოჩა ხოჯავა | 16.03.85 | ყაზბეგი (თბილისი) |
| ზაალ ელიავა | 02.01.85 | ყაზბეგი (თბილისი) |
| ზურაბ კვახაძე | 15.02.85 | ნორჩი დინამოელი (თბილისი) |
| გივი კაპანაძე | 22.03.85 | 35-ე საფეხბურთო სკოლა (თბილისი) |
| გიგა კუტივაძე | 20.01.85 | იმერეთი (ქუთაისი) |
| **თავდამსხმელები** | | |
| სანდრო იაშვილი | 03.01.85 | ვიტ ჯორჯია 2 (თბილისი) |
| გიორგი ჭელიძე | 24.10.86 | აკადემია (თბილისი) |
| გოგი ფიფია | 04.02.85 | ყაზბეგი (თბილისი) |
| ვალერი კაციტაძე | 17.01.85 | ნორჩი დინამოელი (თბილისი) |
| ამირან ყველაშვილი | 10.02.85 | გაზაფხული (გორი) |
| **მეათე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი** | | |
| 15 ოქტომბერი | 16.00 სთ | საქართველო – ბოსნია |
| 17 ოქტომბერი | 16.00 სთ | ისრაელი – ბოსნია |
| 19 ოქტომბერი | 16.00 სთ | საქართველო – ისრაელი |



„ლოკომოტივი" პირველად გიორგი დავითნიძის (№6) ამ დარტყმით დაწინაურდა

# თანამედროვე მწვრთნელი: ადამიანი ნონ-სტოპი

## ...გააკეთეთ კიდევ, გაფუჭებული ფირფიტის პრინციპით — გვირჩევს უეფას დამოძღვრილი გაიოზ დარსაძე


ოთხსაათიანი ლექცია-სემინარი უეფას ტექნიკური დეპარტამენტის ვიდეომასალამაც გაამრავალფეროვნა

**მწვრთნელთა** კვალიფიკაციის პრობლემა დღემდე გადაუჭრელია ჩვენში. ისედაც გვარიანად მოშლილ ქართულ საფეხბურთო მექანიზმს მწვრთნელთა გაუნათლებლობაც ამუხრუჭებს. არადა, უცხოეთში მწვრთნელთა განათლება-განვითარებას უდიდესი ყურადღება ეთმობა. ტარდება სემინარები, პროგრეს-კურსები, პრაქტიკული მეცადინეობები, ხდება მწვრთნელთა სტაჟირებები სხვადასხვა გუნდებში. ამ პროცესის ხელშესაწყობად გვარიანი თანხა იხარჯება და შედეგსაც იძლევა.

მწვრთნელთა განსწავლულობის აუცილებლობა ფიფა-უეფასაც წინა პლანზე აქვს წამოწეული. სწორედ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ძალისხმევით ყალიბდება უეფას კონვენცია. ვერც ერთი გუნდი ვერ გაიჭაჭანებს ევროსარბიელზე ლიცენზირებული, პროფესიონალი მწვრთნელის გარეშე.

მწვრთნელთა მომზადების აუცილებლობა ბოლო დროს ჩვენშიც აღიარეს. ერთი თვის წინ სფფ-მ მწვრთნელთა განათლების ცენტრი აღადგინა და მას გაიოზ დარსაძე ჩაუყენა სათავეში. დარსაძე საქმეს შეუდგა. შუა სექტემბერში ზაგრებში გაემგზავრა მწვრთნელთა განათლების დირექტორთა მეოთხე კონფერენციაზე. დარსაძე მანამდეც ხშირად დასწრებია უცხოეთში გამართულ სხვადასხვა პროგრეს კურსებს. იგი უდავოდ ძალიან დიდ ინფორმაციას ფლობს თანამედროვე საფეხბურთო პროცესებზე და რაღა გასაკვირია, რომ მისი ცოდნა ერთიორად წაადგებათ ქართველ მწვრთნელებს.

ამ მიზნით გუშინ მწვრთნელთა განათლების ცენტრის დირექტორმა ლექცია-სემინარი ჩაატარა „ლოკომოტივის“ ფეშენებელური სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების მწვრთნელთათვის.

გუშინდელმა ლექციამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ 24 მწვრთნელიდან 11 გამოცხადდა. უმაღლესი ლიგის გუნდების მესაჭეთაგან მხოლოდ გივი ნოდიამ, სოსო ფრუიძემ, გია გიგატაძემ და თენგიზ კაციამ მოისმინეს ესოდენ საინტერესო და საჭირო ოთხსაათიანი ინფორმაცია. გუშინდელ მეცადინეობაზე „სიონის“ თავკაცი თემურ მახარაძეც იმყოფებოდა, მაგრამ დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ დარბაზი დატოვა — ბოლნისში, „სიონის“ ვარჯიშზე მიიჩქაროდა.

დარსაძემ ვრცლად ისაუბრა იმ ძირითად და აუცილებელ თვისებებზე, რომლებიც თანამედროვე მწვრთნელისთვის აუცილებელია. დარსაძის გუშინდელი ლექცია მთლად დაკარგულად რომ არ ჩაითვალოს იმ ცამეტი მწვრთნელისთვის, გუშინდელ სამუშაო შეხვედრას რომ უნდა დასწრებოდნენ, მოგახსენებთ, რა მოთხოვნებს უყენებს ფიფა-უეფა თანამედროვე პროფესიონალ მწვრთნელს: „მწვრთნელი არის მენეჯერი, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა იმუშაოს ხალხთან. მწვრთნელს უნდა შეეძლოს აღმზრდელობითი ფუნქციების შეთავსება. იგი უნდა იყოს ექსპერტი, სტრატეგი, პოლიტიკოსი, მოლაპარაკებების ჭკვიანად წარმმართველი, ფსიქოლოგი, რომელსაც უნდა ესმოდეს მოთამაშეების“.

დარსაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტორს, რომ უცოდინარი მწვრთნელი კარგავს რწმენას, რომ თითოეული სიახლის, ინფორმაციის გაგება მწვრთნელს თვითდაჯერებას მატებს. თუნდაც ამიტომ ღირდა გუშინდელ ლექციაზე დასწრება.

დარსაძემ დამსწრეთ მწვრთნელისთვის აუცილებელი ის თერთმეტი თეზისიც გააცნო, სახელოვანმა გერმანელმა სპეციალისტმა ოტმარ ჰიტცფელდმა რომ ჩამოაყალიბა თავისი ხანგრძლივი, წარმატებული კარიერის მანძილზე:

1. იყავით სხვების პატივისმცემელი, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ პრესასთან ურთიერთობას; 2. მოიპოვეთ მოთამაშეების ნდობა; 3. დაიჭირეთ დისტანცია ფეხბურთელებთან; 4. დააფასეთ ფეხბურთელის პირადი თვისებები; 5. ისწავლეთ შეცდომებზე; 6. შეძელით თქვენი ფეხბურთელების დაცვა; 7. არასდროს თქვათ ტყუილი; 8. არ იყოთ შურიანი; 9. გარეშეს ნუ დაანახვებთ თქვენს შეცდომებს. წაგების შემთხვევაშიც შეინარჩუნეთ სიმშვიდე; 10. შეძლეთ თავის დაჭერა წარმატების დროს; 11. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ გარემომცველი გუნდის პერსონალის შერჩევას.


გაიოზ დარსაძე

დარსაძემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც მწვრთნელი ბრიტანულ ყაიდაზე მენეჯერის ფუნქციებსაც შეითავსებს და მომავალ პროფესიონალ მწვრთნელს ამ მხრივაც მართებს სწავლა.

უდავოდ საინტერესოა შოტლანდიელი სპეციალისტის ენდი როქსბურგის ორი კონცეფცია, გუშინდელ შეხვედრაზე დარსაძემ რომ გააცნო ქართველ მწვრთნელებს — „მწვრთნელის პრინციპი გაფუჭებულ ფირფიტას უნდა ჰგავდეს: გააკეთე კიდევ... გააკეთე კიდევ... გააკეთე კიდევ...“

ორიგინალური და საქმიანია როქსბურგის მეორე რჩევაც: „პრეზიდენტი ყოველთვის კმაყოფილი გყავდეთ, რაც შეიძლება, მეტი გოლი გაიტანეთ და შეძელით ყვავილების მორწყვა — ოჯახში ჰარმონიის დამყარება“.

გუშინდელი ლექციის მეორე ნაწილში დარსაძემ ვრცლად ისაუბრა იმის შესახებ, რომ მწვრთნელს მომავლის განჭვრეტაც უნდა შეეძლოს. აქ ლაპარაკი არაა ნოსტრადამუსობაზე, უბრალოდ, პროფესიონალ მწვრთნელს უნდა შეეძლოს, სასურველი ტაქტიკის შერჩევა, შეცვლების გამოცნობა, დიდი ყურადღება სელექციისას — გათვლა, დღეს შერჩეული მოზარდი რა დონის ფეხბურთელი შეიძლება დადგეს ათი წლის შემდეგ.


გუშინდელი სემინარის მონაწილეებმა „ლოკომოტივის“ ახალგახსნილ სტადიონზევე სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს

შეხვედრის დასკვნით ნაწილში დარსაძემ ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობასა და ეფექტურობაზე ისაუბრა. ისტორიას ჩაბარდა ძველი დროის ბევრი მეთოდი და დღეს ევროპაში კომპიუტერი გამოიყენება. ძალიან ძნელია ერთი კამერით გადაღებული მატჩის გარჩევა, სათანადო ანალიზის გაკეთება. ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში მატჩს სულ მცირე, 12 კამერით იღებენ. ერთ საათში მუშავდება მიღებული ინფორმაცია, ანალიზდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამით, რაც მწვრთნელს კონკრეტულ მატჩზე ამომწურავ ინფორმაციას აწვდის. ამგვარი ფუფუნება 40 ათასი დოლარი ჯდება (ერთ მატჩზე), მაგრამ ერთობ ეფექტური და ნაყოფიერია, რაშიც ქართველი მწვრთნელები პრაქტიკულადაც დარწმუნდნენ.

მათ კომპიუტერის მეშვეობით გუშინვე დაიკმაყოფილეს ცნობისწადილი და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს „ბაიერნ“ — „ვალენსიის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე: ვინ რა მანძილი დაფარა, რა და რა სიჩქარით, რამდენი წარმატებული თუ წარუმატებელი პასი გააკეთა, რამდენი ორთაბრძოლა მოიგო, პასი ჩაჭრა და ასე შემდეგ.

დარსაძემ გუშინ მსმენელებს კოვერჩანოდან ჩამოტანილი საინტერესო ვიდეომასალაც გააცნო, რომელიც ძირითადად საწვრთნელი პროცესების ამსახველი სიუჟეტებით და ჩემპიონთა ლიგაში გატანილი ეფექტური გოლებით იყო გამდიდრებული.

გუშინდელმა დღემ ერთობ დიდი შთაბეჭდილება დატოვა მწვრთნელებზე თბილისის „დინამოს“ თავკაცმა გივი ნოდიამ ასეთი შეხვედრების ყოველთვიურად გამართვა ისურვა, „სამგურალის“ მთავარი მწვრნელი გია გიგატაძე კი უფრო შორს წავიდა — ნეტავ, ამგვარი შეხვედრები ყოველდღე ეწყობოდესო.

**პაატა ძვანტალიანი**

# როგორი დინამო კეთდება... რუსული თუ ევროპული?!

„დინამო“ გაიყიდა... არა საჯაროდ, არამედ დახურულ კარს მიღმა. თითქმის ერთი კვირა იქნება, ეს ამბავი რომ გახმაურდა და დღემდე არ ვიცით ყველაზე ტიტულიანი ქართული კლუბის მფლობელთა ვინაობა. 11 ოქტომბრამდე, ალბათ, ვერც ვერაფერს შევიტყობთ, რადგან ამ ამბის გამჩარხავთ პირში წყალი ჩაუგუბებიათ. 11 ოქტომბერს კი კლუბის თავკაცთა პრეზენტაცია მოეწყობა და ნათელიც დადგება.

ახალი პატრონი იმდენ ფულს მოიტანს, რომ ორ-სამ წელიწადში ჩვენი „დინამო“ მოსკოვურ „სპარტაკს“ გაეტოლებაო. ბევრი ფული კარგია, ჩემპიონთა ლიგაში თამაში კიდევ უკეთესი და დღეს არ მეგულება ფეხბურთის ქომაგი, ამ სიტყვებმა არ გაახაროს, მაგრამ ცუდია ის, რომ „სპარტაკს“ ატოლებენ „დინამოს“. რატომ ვითომ „სპარტაკი“ და რატომ არა პრაღის „სპარტა“. დავიჯეროთ, ოლეგ რომანცევს ჩეხებზე უკეთ აქვს საქმეები დალაგებული? არა მგონია, „სპარტა“ სტუმრად ფრეს თამაშობს „ბაიერნთან“, „სპარტაკი“ კი... თუმცა, საქართველო რუსეთს როგორ ასცდებოდა.

ბევრი ფიქრობს, რომ „სპარტაკი“ შემთხვევით არ არის ნახსენები და ახალი მეპატრონეც რაღაც კავშირშია რუსეთთან. ეს, რა თქმა უნდა, ჭორად დადის ქალაქში, თორემ დანამდვილებით ისიც არ ვიცით, „დინამოს“ მფლობელი ფირმა გერმანულია, იტალიური თუ სულაც ქართული.

ჯერ არ გამოჩენილა ის „დინამოს“ აღმშენებელი და კლუბიდან თითქმის ყველა თანამშრომელი დაითხოვა. ეს არც არის გასაკვირი, მოდის ახალი კაცი და, ბუნებრივია, ახალი გუნდი მოჰყავს.

მწვანე შუქიანი „დინამოში“ ჯერჯერობით ორიღა დარჩა — კლუბის მენეჯერი გია ისიანი და მთავარი მწვრთნელი გივი ნოდია. რა ხანგრძლივობისაა მათი ნდობის ფურცელი, ჩვენთვის უცნობია.

მოულოდნელი ამბავი ისიც იყო, რომ ახალ „დინამოში“ რევაზ არველაძის ადგილი ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცმა გია ფირცხალავამ დაიჭირა. პრეზიდენტი გაუშვეს, აღმასრულებელი დირექტორი მოვიდა. ორი დღე შევალიეთ ფირცხალავას დევნას, მაგრამ ახალი და ღირებული ვერაფერი შევიტყვეთ.

მართალია, ფირცხალავა ჯერ ისევ საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელია, მაგრამ ფედერაციას 20 ოქტომბრამდე მისი შემცვლელის მოძიება მოუწევს. ფირცხალავა ფედერაციაში 19 ოქტომბერს დაასრულებს საქმიანობას. იგი ხომ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხელმძღვანელადაა დანიშნული.

ბოლოს კიდევ ერთ ჭორზე მოგახსენებთ, რომელსაც ქალაქში მოისმენთ და „დინამოზე“ მარჩიელობასაც ამით მოვრჩეთ. ამბობენ, ნოდიას გარდა გუნდიდან თითქმის ყველა მწვრთნელს დაითხოვენ და სხვებს მოიყვანენო. იმასაც ამბობენ, „დინამოში“ ოთარ კორღალიძე ბრუნდებაო, რა თქმა უნდა, ამჯერად თანაშემწედ.

ასეთი ამბებია ახალი „დინამოს“ ირგვლივ. ჯერ მხოლოდ ვარაუდებით დავკმაყოფილდეთ და არც 11 ოქტომბერია შორს.

**დათო დანელია**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში
გუნდების მიერ ერთნაირი ქულების დაგროვების
შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:
1. ბურთების უკეთეს შეფარდებას.
2. მეტ გატანილ გოლს.
3. ურთიერთშეხვედრებში უკეთეს შედეგს.
თუ ყველა ეს მაჩვენებელი თანაბარია, ჩატარდება
ერთმატჩიანი გადათამაშება ნეიტრალურ მოედანზე

# პლეი ოფი

## ევროპა

მეექვსე ჯგუფის მეორეადგილოსანი – მესამე ჯგუფის მეორეადგილოსანი
მეხუთე ჯგუფის მეორეადგილოსანი – მეცხრე ჯგუფის მეორეადგილოსანი
მეშვიდე ჯგუფის მეორეადგილოსანი – თურქეთი
პირველი ჯგუფის მეორეადგილოსანი – მერვე ჯგუფის მეორეადგილოსანი
*პირველი მატჩები: 10-11 ნოემბერი, საპასუხო მატჩები: 13-14 ნოემბერი*

## აზია

პირველი ჯგუფის მეორეადგილოსანი – მეორე ჯგუფის მეორეადგილოსანი
*პირველი მატჩი: 25 ოქტომბერი, საპასუხო მატჩი: 31 ოქტომბერი*

## ევროპა-აზია

ევროპის მეორე ჯგუფის მეორეადგილოსანი – აზიის პლეი ოფის გამარჯვებული
*პირველი მატჩი: 10 ნოემბერი, საპასუხო მატჩი: 15 ნოემბერი*

## ოკეანეთი-სამხრეთ ამერიკა

ავსტრალია – სამხრეთ ამერიკის მეხუთეადგილოსანი
*მატჩები გაიმართება 25 ნოემბრამდე*

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა
გაიმართება ბუსანში (სამხრეთ კორეა) პირველ დეკემბერს

# მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპის შესარჩევი ზონის ბომბარდირები



ანდრეი შევჩენკო

| | | |
|---|---|---|
| ანდრეი შევჩენკო | (უკრაინა) | 8 |
| ებე სანდი | (დანია) | 7 |
| ფილიპო ინძაგი | (იტალია) | 7 |
| ემანუელ ოლისადებე | (პოლონეთი) | 7 |
| კუბილაი თურქილმაზი | (შვეიცარია) | 7 |
| ჰენრიკ ლარსონი | (შვედეთი) | 7 |
| მარკ ვილმოტსი | (ბელგია) | 6 |
| მიხალის კონსტანტინუ | (კვიპროსი) | 6 |
| მაიკლ ოუენი | (ინგლისი) | 6 |
| პედრო პაულეტა | (პორტუგალია) | 6 |

# მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

საფრანგეთი (ჩემპიონი)
იაპონია (მასპინძელი)
სამხრეთ კორეა (მასპინძელი)
კამერუნი
ნიგერია
სენეგალი
სამხრეთ აფრიკა
ტუნისი
კოსტა რიკა
არგენტინა
შვედეთი
პოლონეთი
ესპანეთი

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

## I ჯგუფი

**იუგოსლავია — ლუქსემბურგი**
ბელგრადი. დღეს. 19:00
მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)
დისკვალიფიცირებულნი:
იუგოსლავია – ბობან დმიტროვიჩი
ლუქსემბურგი – არავინ

**რუსეთი — შვეიცარია**
მოსკოვი. დღეს. 19:00
მსაჯი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)
დისკვალიფიცირებულნი:
რუსეთი – ვალერი კარპინი
შვეიცარია – არავინ

**სლოვენია — ფარერები**
ლიუბლიანა. დღეს. 19:00
მსაჯი: გეორგიოს კანსაფერსი (საბერძნეთი)
დისკვალიფიცირებულნი:
სლოვენია – მირან პავლინი, ამირ კარიჩი, ალეშ ჩეჰი, მილენკო აჩიმოვიჩი
ფარერები – ფროდი ბენიამინსენი, ჯულიან იოჰანსონი

**რუსებს,** ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე 1994 წლის შემდეგ აღარ უთამაშიათ, საოცნებო საგზურის მოსაპოვებლად დღეს შვეიცარიასთან ფრეც ჰყოფნით. რუსთა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა საამატჩოდ არ მიიწვია ხლესტოვი, თეთრაძე და შირკო, სამაგიეროდ, ეროვნულ გუნდში დააბრუნა თავდამსხმელი ალექსანდრ პანოვი. თუმცა მისი ძირითადში გამოჩენა საეჭვოა, რადგან რუსული მედიის ვარაუდით რომანცევი ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშებს და ის ერთი ბესჩასტნიხი იქნება. ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე კი დისკვალიფიცირებული კარპინის ადგილს გუსევი დაიკავებს.

რომანცევს თურმე ყველაზე მეტად თავისი მოთამაშეების ფსიქოლოგიური მდგომარეობა აშფოთებს. მატჩის მნიშვნელობა ძალიან დიდია და ზედმეტად არ ინერვიულონო. მით უმეტეს, რომ შვეიცარიას არანაირი სატურნირო მოტივაცია აღარ აქვს და თავისუფლად ითამაშებს. თეორიულად შვეიცარიელები მეორე ადგილს იმ შემთხვევაში დაიკავებენ, თუ თავად მოიგებს, ხოლო სლოვენია ფარერებთან, ხოლო იუგოსლავია ლუქსემბურგთან წააგებენ. მაგრამ, აბა, ამას ვინ დაიჯერებს.

რუსები კი პირველ ადგილზე წაგების შემთხვევაშიც შეიძლება დარჩნენ. ეს მაშინ მოხდება თუ სლოვენიელებმა ფარერებს დიდი ანგარიშით ვერ მოუგეს. თუმცა რუსეთში ყველა მხოლოდ გამარჯვებაზე ლაპარაკობს.

„ცხადია, უპირველესად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ ნათქვამია, საუკეთესო დაცვა შეტევააო, ამიტომ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ. გვინდა შესარჩევი ციკლი ამაღლებული განწყობით დავასრულოთ“ — ამბობს რუსი მცველი იური კოვტუნი.

შვეიცარიელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლიათ, მათ შორისაა ნახევარმცველი სებასტიან ფურნიეც, ვინც მოსკოვში კი ჩავიდა, მაგრამ თანაგუნდელების ვარჯიშს სკამიდან უცქერს. სამაგიეროდ, ჯანზე არიან დავიდ სესა, ჩირიაკო სფორცა და ჰაკან იაკინი, ვისიც მწვრთნელ კობი კუნს განსაკუთრებით ეიმედება. „რუსებისთვის ისტორიაში არასოდეს მოგვიგია და ეგებ, ახლა მოვახერხოთ. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით“ — ასეთია კუნის განწყობა.

თამაში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება და მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები საკმაოდ ძვირი ყოფილა, რუსეთის ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს გულშემატკივრებისთვის მოუწოდებიათ, თქვენი მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და იმედი გვაქვს სტადიონი გაივსებაო.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 14:5 | 20 |
| სლოვენია | 9 | 4 | 5 | 0 | 14:9 | 17 |
| იუგოსლავია | 9 | 4 | 4 | 1 | 16:6 | 16 |
| შვეიცარია | 9 | 4 | 2 | 3 | 18:8 | 14 |
| ფარერები | 9 | 2 | 1 | 6 | 6:20 | 7 |
| ლუქსემბურგი | 9 | 0 | 0 | 9 | 2:22 | 0 |




შვეიცარიელები ჩირიაკო სფორცა და იგორ შტილი (მარჯვნივ) რუსების დამარცხებას და სლოვენიელთათვის ხელის გამართვას აპირებენ

### ყველა მატჩი

შვეიცარია – რუსეთი 0:1; ფარერები – სლოვენია 2:2; ლუქსემბურგი – იუგოსლავია 0:2; შვეიცარია – ფარერები 5:1; ლუქსემბურგი – სლოვენია 1:2; რუსეთი – ლუქსემბურგი 3:0; სლოვენია – შვეიცარია 2:2; ლუქსემბურგი – ფარერები 0:2; რუსეთი – სლოვენია 1:1; იუგოსლავია – შვეიცარია 1:1; რუსეთი – ფარერები 1:0; შვეიცარია – ლუქსემბურგი 5:0; სლოვენია – იუგოსლავია 1:1; იუგოსლავია – რუსეთი 0:1; რუსეთი – იუგოსლავია 1:1; ფარერები – შვეიცარია 0:1; სლოვენია – ლუქსემბურგი 2:0; ფარერები – იუგოსლავია 0:6; ლუქსემბურგი – რუსეთი 1:2; შვეიცარია – სლოვენია 0:1; იუგოსლავია – ფარერები 2:0; ფარერები – ლუქსემბურგი 1:0; შვეიცარია – იუგოსლავია 1:2; სლოვენია – რუსეთი 2:1; ფარერები – რუსეთი 0:3; იუგოსლავია – სლოვენია 1:1; ლუქსემბურგი – შვეიცარია 0:3

## II ჯგუფი

**ირლანდია — კვიპროსი**
დუბლინი. დღეს. 22:00
მსაჯი: ხუან ანსუატეგი როჩა (ესპანეთი)
დისკვალიფიცირებულნი:
ირლანდია – არავინ
კვიპროსი – ნიკოს გეორგიუ, მარიოს ხარალამბუსი, მარიოს აგათოკლეუსი

**ჰოლანდია — ანდორა**
არნემი. დღეს. 23:30
მსაჯი: ორჰან ერდემირი (თურქეთი)
დისკვალიფიცირებულნი:
ჰოლანდია – არავინ
ანდორა – ხესუს ლუჩენდო, ხულიო სანჩესი, ფრანსისკო რამირესი

**პორტუგალია — ესტონეთი**
ლისაბონი. დღეს. 22:00
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)
დისკვალიფიცირებულნი:
პორტუგალია – არავინ
ესტონეთი – არავინ

**თავის** უნიათობაზე გაბრაზებულმა ლუის ვან გაალმა ჯავრი ერთგვარად სანდერ ვესტერფელდზე იყარა. „მე არ მჭირდება ნაკრებში კაცი, რომელიც კლუბში სათადარიგოთა სკამზე ზის“ — განაცხადა მან. საცოდავ მეკარეს იქით ქვრარ ულიე ემდურება, „ლივერპულის“ საგარეო თამაშებზე გუნდს არ უნდა გაჰყვე, რადგან ირეთ დუდეკზე შენი იქ ყოფნა უარყოფითად მოქმედებსო(?!). არადა, „ნარინჯისფრების“ ჯგუფში ჩარჩენა რა ვესტერფელდის ბრალია.

ამასობაში ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციაში უარყვეს ხმები იმის თაობაზე, თითქოს ვან გაალს ათავისუფლებენ და მის ადგილზე დიკ ადვოკაატის მოყვანა სურთ. „ამჟამად ნაკრების მწვრთნელი წასვლას არ აპირებს. მან ბრძანა, ვითარებას უახლოეს თვეებში შევაფასებო. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ხვალვე წავა. ჯერჯერობით ლუის ვან გაალის მუშაობით კმაყოფილნი ვართ და სხვა კანდიდატები არ გვყავს“ — თქვა ფედერაციის წარმომადგენელმა. მეტი რაღა ეთქმის, როცა მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიელების გარეშე ჩაივლის.

აი, პორტუგალიელები კი ირლანდიელებთან ერთად პირველი ადგილისთვის ესტონეთთან და კვიპროსთან გაარკვევენ ურთიერთობას. არსებობს შანსი, რომ როი კინი და კომპანია ჯგუფს სათავეში მოექცნენ, თუმცა ამჯერად ეს ლუიშ ფიგუსა და მისი რაზმის წარუმატებელ გამოსვლაზეა დაფუძნებული. ასეთ შეცდომას, ვგონებ, ჭკუათმყოფელი პორტუგალიელები ნამდვილად არ დაუშვებენ. მათი გულშემატკივრები კი ახლა იმის გარკვევით იქცევენ თავს, თუ ვინ იქნება ნაკრების კაპიტანი — ფერნანდუ კოუტუ თუ ლუიშ ფიგუ. გამოკითხვის შედეგებმა „რეალის“ მოთამაშის უპირატესობა დაადასტურა. საინტერესოა, რომ მასაც და კოუტუსაც ნაკრებში მატჩების თანაბარი რაოდენობა აქვთ ჩატარებული.

ირლანდიელთა მწვრთნელ მიკ მაკარტის კი სხვა პრობლემები აწუხებს. თუ მისი გუნდი მეორე ადგილზე დარჩება (ალბათ, ასეც მოხდება), მაშინ მათი მეტოქე პლეი ოფში აზიის მესამე გუნდი, სავარაუდოდ, უზბეკეთი იქნება, რომლის დედაქალაქიც ქაბულიდან 400 კმ-ში მდებარეობს. ამიტომ მაკარტი ფრთხილობს და ფიფას ჩინოსნებს ასეთ შემთხვევაში ორი მატჩის ნაცვლად ერთის ნეიტრალურზე ჩატარებას სთავაზობს. მას ისიც აღარდებს, შესარჩევ ეტაპზე ორი წლის განმავლობაში დაგროვილი ყვითელი ბარათები პლეი ოფის მატჩებზე არ უნდა ვრცელდებოდესო. აი, ასეთი შორსმჭვრეტელია ირლანდიელთა თავკაცი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 9 | 6 | 3 | 0 | 28:7 | 21 |
| ირლანდია | 9 | 6 | 3 | 0 | 19:5 | 21 |
| ჰოლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 26:9 | 17 |
| ესტონეთი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:21 | 8 |
| კვიპროსი | 9 | 2 | 2 | 5 | 13:27 | 8 |
| ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 5:32 | 0 |

### ყველა მატჩი

ესტონეთი – ანდორა 1:0; ანდორა – კვიპროსი 2:3; ჰოლანდია – ირლანდია 2:2; ესტონეთი – პორტუგალია 1:3; ანდორა – ესტონეთი 1:2; კვიპროსი – ჰოლანდია 0:4; პორტუგალია – ირლანდია 1:1; ირლანდია – ესტონეთი 2:0; ჰოლანდია – პორტუგალია 0:2; კვიპროსი – ანდორა 5:0; პორტუგალია – ანდორა 3:0; კვიპროსი – ირლანდია 0:4; ანდორა – ჰოლანდია 0:5; ანდორა – ირლანდია 0:3; კვიპროსი – ესტონეთი 2:2; პორტუგალია – ჰოლანდია 2:2; ირლანდია – ანდორა 3:1; ჰოლანდია – კვიპროსი 4:0; ირლანდია – პორტუგალია 1:1; ესტონეთი – ჰოლანდია 2:4; ესტონეთი – ირლანდია 0:2; პორტუგალია – კვიპროსი 6:0; ესტონეთი – კვიპროსი 2:2; ირლანდია – ჰოლანდია 1:0; ანდორა – პორტუგალია 1:7; ჰოლანდია – ესტონეთი 5:0; კვიპროსი – პორტუგალია 1:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ევროპა

## III ჯგუფი

**დანია — ისლანდია**
კოპენჰაგენი. დღეს. 23:15
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
დისკვალიფიცირებულნი:
დანია – ბრაიან-სტენ ნილსენი
ისლანდია – არავინ

**მალტა — ჩრდ. ირლანდია**
ლა ვალეტა. დღეს. 21:30
მსაჯი: მანფრედ შტენგრუბერი (ავსტრია)
დისკვალიფიცირებულნი:
მალტა – არავინ
ჩრდ. ირლანდია – არავინ

**ჩეხეთი — ბულგარეთი**
პრაღა. დღეს. 23:15
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
დისკვალიფიცირებულნი:
ჩეხეთი – იან კოლერი
ბულგარეთი – არავინ

**სატურნირო** ვითარებას თვალი გადავლოთ. დანია პირველ ადგილზეა. სულ მცირე მეორე ადგილი და პლეი ოფში თამაში გარანტირებული აქვს, მაგრამ დანიელებს მინიმუმი, ცხადია, არ დააკმაყოფილებთ და დღეს შინ ისლანდიასთან მოგებას შეეცდებიან, თუ გაიმარჯვეს პირველზე გავლენ, ეს ნათელია.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ კოპენჰაგენში მატჩი ფრედ დასრულდა და დანიამ 20 ქულა დააგროვა. ბურთების შეფარდება ნებისმიერ შემთხვევაში უცვლელი რჩება — პლუს 10.

ახლა ვივარაუდოთ, რა შეიძლება მოხდეს დანიამ ფრედ რომ ითამაშოს და პირველობა მაინც შეინარჩუნოს. მაშინ პრაღაში ჩეხეთისა და ბულგარეთის მატჩიც ფრედ უნდა დასრულდეს, ან... და ამ ან-ის შემდეგ ვითარება იხლართება, რადგან თეორიულად ჩეხეთსაც და ბულგარეთსაც შეუძლიათ დანიის დაწევა. მაგრამ აქ ვარიანტების ნაირსახეობა გადმოიშლება.

ვთქვათ ჩეხეთმა მოუგო ბულგარეთს და მანაც 20 ქულა დააგროვა. დაითვლება ბურთების შეფარდება. დანიას პლუს ათი აქვს, ჩეხეთს ჯერჯერობით, პლუს 6. თუ ჩეხეთი ბულგარეთს შინ ხუთი ან მეტი ბურთის უპირატესობით მოუგებს, მაშინ ჩეხები პირველ ადგილზე გავლენ. ეს გავარკვიეთ, მაგრამ რა მოხდება, თუ ჩეხეთი ოთხი ბურთის სხვაობით მოუგებს ბულგარეთს. აი კიდევ ვარიანტთა მრავალსახეობა.

ვთქვათ ჩეხებმა 4:0 მოიგეს, ბურთების ფარდობა 18:8-სთან ექნებათ (+10), დანიამ კი 0:0 ითამაშა ისლანდიასთან — ბურთების სხვაობა 16:6 (+10). მაშინ ჩეხეთი გავა. რადგან მეტი ბურთი აქვს გატანილი. მაგრამ ჩეხებს და დანიელებს ყველაფერი ერთნაირი ექნებათ, თუ დანიამ 2:2 ითამაშა ისლანდიასთან, ხოლო ჩეხეთმა 4:0 მოუგო ბულგარეთს, ასევე, თუ დანია — ისლანდია 3:3 მორჩა, ხოლო ჩეხეთი — ბულგარეთი 5:1. და ასე უსასრულოდ: 4:4 და 6:2, 5:5 და 7:3... ამ შემთხვევაში დანიისა და ჩეხეთის ურთიერთშეხვედრებს მიექცევა ყურადღება. ესეც გავარკვიოთ: დანიამ შინ ჩეხეთს 2:1 მოუგო, ხოლო პრაღაში 0:0 იყო. მოკლედ, ამ მაჩვენებლით დანია჻ჯობნის, ამიტომ ჩეხებს 4:0 მხოლოდ იმ შემთხვევაში აწყობთ, თუ დანია — ისლანდია 0:0 ან 1:1 დასრულდება.

კარგა გვარიანად დავაბნევდით, მაგრამ ჯერ სად ხართ, ბულგარეთი — დანიის ურთიერთობაც ხომ გასარკვევი გვაქვს.

თუ დანია ფრედ ითამაშებს, ხოლო ბულგარეთი სტუმრად მოუგებს ჩეხეთს, ორივე 20 ქულას აგროვებს, ბურთების ფარდობა დანიას, როგორც ვთქვით, პლუს 10 აქვს, ბულგარეთს პლუს 5, ამიტომ თუ კოპენჰაგენში ფრე იქნება, ხოლო პრაღაში ბულგარეთი 6 ან მეტი ბურთის სხვაობით მოიგებს, მაშინ პირველზე ბულგარეთი გავა. ესეც ნათელია. გასარკვევი დარჩა რა მოხდება ბულგარეთის ხუთი ბურთით გამარჯვების შემთხვევაში. ბულგარელების 5:0-ის მოგების და დანიელების 0:0-ის, 1:1-ის ან 2:2-ის შემთხვევაში უპირატესობა ბულგარეთისაა, რადგან მათ მეტი (19) ბურთი [illegible] ვითარება თანაბრდება ბულგარეთის 5:0 მოგებას და იმავდროულად დანიის 3:3-ის შემთხვევაშიც. აქ ურთიერთშეხვედრები მოვიშველიოთ: კოპენჰაგენში ფრე 1:1 იყო, სოფიაში დანიელებმა 2:0 მოიგეს. მოკლედ (თუ ეს მოკლედაა!) ბულგარეთს ჩეხეთში 5:0-ის მოგება არ ყოფნის, რათა პირველ ადგილზე გავიდეს (რა თქმა უნდა, თუ დანიამ ფრედ ითამაშა).

როგორც იქნა გავარკვიეთ, რომ ბულგარეთს 6 ან მეტი ბურთით გამარჯვება სჭირდება, ხოლო ჩეხეთს 5-ით ან მეტით.

სხვა მხრივ, თუ დანია წააგებს, მაშინ ჩეხეთი — ბულგარეთის წყვილში გამარჯვებული გადავა პირველზე. მათ შორის ფრე კი ჩეხებს უფრო აწყობთ.

ახლა ორიოდ სიტყვა ჩეხეთისა და ბულგარეთის ნაკრებთა მზადყოფნაზე. ბულგარელთა მწვრთნელი სტოიჩო მლადენოვი და კაპიტანი კრასიმირ ბალაკოვი იმუქრებიან, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, პრაღაში უნდა მოვიგოთო. ამას ისიც დავურთოთ, რომ ბულგარელებს დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ, ხოლო ჩეხებს ამ მიზეზით იან კოლერი ვერ დაეხმარება.

**ნიკა ზუბლაძე**






ბულგარელთა კაპიტანი კრასიმირ ბალაკოვი და მწვრთნელი სტოიჩო მლადენოვი პრაღიდან სამი ქულის წამოღებას აპირებენ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 9 | 5 | 4 | 0 | 16:6 | 19 |
| ჩეხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:8 | 17 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:9 | 17 |
| ისლანდია | 9 | 4 | 1 | 4 | 14:14 | 13 |
| ჩრდ. ირლანდია | 9 | 2 | 2 | 5 | 10:12 | 8 |
| მალტა | 9 | 0 | 1 | 8 | 4:23 | 1 |

### ყველა მატჩი

ჩრდ. ირლანდია – მალტა 1:0; ისლანდია – დანია 1:2; ბულგარეთი – ჩეხეთი 0:1; ჩრდ. ირლანდია – დანია 1:1; ჩეხეთი – ისლანდია 4:0; ბულგარეთი – მალტა 3:0; მალტა – ჩეხეთი 0:0; დანია – ბულგარეთი 1:1; ისლანდია – ჩრდ. ირლანდია 1:0; ჩრდ. ირლანდია – ჩეხეთი 0:1; ბულგარეთი – ისლანდია 2:1; მალტა – დანია 0:5; ბულგარეთი – ჩრდ. ირლანდია 4:3; ჩეხეთი – დანია 0:0; მალტა – ისლანდია 1:4; ჩრდ. ირლანდია – ბულგარეთი 0:1; ისლანდია – მალტა 3:0; დანია – ჩეხეთი 2:1; ჩეხეთი – ჩრდ. ირლანდია 3:1; ისლანდია – ბულგარეთი 1:1; დანია – მალტა 2:1; ისლანდია – ჩეხეთი 3:1; დანია – ჩრდ. ირლანდია 1:1; მალტა – ბულგარეთი 0:2; ჩეხეთი – მალტა 3:2; ბულგარეთი – დანია 0:2; ჩრდ. ირლანდია – ისლანდია 3:0

## IV ჯგუფი

**მოლდოვა — თურქეთი**
კიშინიოვი. დღეს. 23:15
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
დისკვალიფიცირებულნი:
მოლდოვა – სერგეი კლეშჩენკო, ვადიმ ბორეცი, რადუ რებეჯა
თურქეთი – არავინ

**შვედეთი — აზერბაიჯანი**
სტოკჰოლმი. ხვალ. 19:00
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
დისკვალიფიცირებულნი:
შვედეთი – არავინ
აზერბაიჯანი – კიამალ გულიევი

**მაკედონია — სლოვაკეთი**
სკოპიე. ხვალ. 22:00
მსაჯი: მაიკლ რილი (ინგლისი)
დისკვალიფიცირებულნი:
მაკედონია – პანჩე სტოიანოვი, ჟარკო სერაფიმოვსკი
სლოვაკეთი – არავინ

**ცხადია,** ყველას სურს, შესარჩევი ეტაპი გამარჯვებით ჩაამთავროს, თუმცა ყველა ხომ ვერ გაიმარჯვებს. ამ ჯგუფში პირველ სამ ადგილს თავისი პატრონი ჰყავს და მათ ვერავინ შეეცილება, ისევ როგორც აზერბაიჯანს — ცხრილის ბოლო საფეხურს. ჩვენი მეზობლები სტოკჰოლმში პირველადგილოსნებს დაეჯახებიან. ძნელი სავარაუდოა, რომ ისინი ბაქოში თუნდაც ერთი ქულით დაბრუნდნენ, რადგან აქამდე ექვსი გოლის გამტანი ჰენრიკ ლარსონი რვაგოლიანი შევჩენკოს დაწევას და გასწრებას, ალბათ, მაინც შეეცდება. ამის გაკეთების საუკეთესო და ბოლო შანსი კი შვედს ამ შეხვედრაში ექნება.

მესამეადგილოსან სლოვაკებს სკოპიეში მაკედონიელთა შეტევების მოგერიება მოუწევთ, ვინაიდან ქულათა დაგროვება რეიტინგში დაწინაურების საშუალებაა, რაზეც არც ერთი ნაკრები უარს არ იტყვის. ამ გუნდების პირველი შეხვედრა სლოვაკთა სასარგებლოდ დასრულდა და მაკედონიელები უეჭველად რევანშის აღებაზეც ფიქრობენ. აღსანიშნავია, რომ იტალიური „ინტერის“ რიგებში ამ ქვეყნის ნაკრების ორი ფეხბურთელი — აჩო სტოიკოვი და გორან პანდოვი ირიცხება, თუმცა იტალიური კლუბის ბოსებმა ეს ბიჭები შეკრებაზე არ გაუშვეს, თავად გვჭირდებაო. გარდა ამისა, მაკედონიის ნაკრების შემადგენლობაში ვერ ითამაშებს ნახევარმცველი ნები მუსტაფი, რომლის დებიუტიც ახლა უნდა შემდგარიყო. საუბედუროდ, ვარჯიშისას მას მარცხენა ფეხი დაუშავდა, რის გამოც ფეხბურთელი ძალიან წუხს: „მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თამაშის შანსი მომეცა, მაგრამ რას იზამ, ასეთი ბედი მქონია“. ასევე ტრავმირებულნი არიან ნიკოლოვსკი, სასა და პეტროვი.

თავის მხრივ, მოლდოველებიც შეეცდებიან მეოთხე საფეხურზე ანაცვლებას, ოღონდ ამისთვის მათ თურქების დამარცხება უნდა შეძლონ, სლოვაკებმა კი სკოპიეში არ უნდა წააგონ. თურქებს თავი ქუდში კი აქვთ, მაგრამ ნაკრების თავკაცმა შენოლ გუნეშმა ფეხბურთელები მკაცრად გააფრთხილა, ვინც ამ თამაშს სერიოზულად არ მოეკიდება, გუდა-ნაბადი აიკრას და შინ წავიდესო. გიუნეშმა ორი ახალწვეულიც დაიმატა: ლევერკუზენელი ილდირიმ ბაშთურქი და „ბეშიქთაშიდან“ ილჰან მანსიზი. ილდირიმის თქმით, მას გერმანელები ბუნდესნაკრებში თამაშსაც კი ჰპირდებოდნენ, მაგრამ ტომით თურქმა და გერმანიის მოქალაქემ მშობლიური მხარე არჩია. ვარჯიშზე ოღნავ ფეხი იტკინა ჰაქან შუქურმა, თუმცა დღეს იგი მაინც იქნება მოედანზე. „გალათასარაის“ გამთამაშებელმა სერგენ იალჩინმა კი გულშემატკივრები დაამშვიდა, ამ თამაშსაც მოვიგებთ და პლეი ოფის მატჩსაც, გინდ ისრაელი შეგვხვდეს, გინდ ავსტრიაო.

მოლდოვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ სპირიდონმა შეკრებაზე ოთხი ახალი ფეხბურთელი გამოიძახა: მეკარე სერგეი დერენოვი, ნახევარმცველები — ბორის ჩებოტარი, სერგეი ბელოუსი და ფორვარდი იური მიტერევი. ეს ძირითადი ფეხბურთელების, კურტიანუს, კომლენკას, ივანოვისა და თავდამსხმელ პოგრებანის ტრავმებმა განაპირობა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 17:3 | 23 |
| თურქეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:8 | 18 |
| სლოვაკეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:9 | 14 |
| მაკედონია | 9 | 1 | 4 | 4 | 11:13 | 7 |
| მოლდოვა | 9 | 1 | 3 | 5 | 6:17 | 6 |
| აზერბაიჯანი | 9 | 1 | 2 | 6 | 4:14 | 5 |

### ყველა მატჩი

თურქეთი – მოლდოვა 2:0; აზერბაიჯანი – შვედეთი 0:1; სლოვაკეთი – მაკედონია 2:0; მაკედონია – აზერბაიჯანი 3:0; შვედეთი – თურქეთი 1:1; მოლდოვა – სლოვაკეთი 0:1; აზერბაიჯანი – თურქეთი 0:1; მოლდოვა – მაკედონია 0:0; სლოვაკეთი – შვედეთი 0:0; შვედეთი – მაკედონია 1:0; აზერბაიჯანი – მოლდოვა 0:0; თურქეთი – სლოვაკეთი 1:1; სლოვაკეთი – აზერბაიჯანი 3:1; მაკედონია – თურქეთი 1:2; მოლდოვა – შვედეთი 0:2; შვედეთი – სლოვაკეთი 2:0; მაკედონია – მოლდოვა 2:2; თურქეთი – აზერბაიჯანი 3:0; აზერბაიჯანი – სლოვაკეთი 2:0; შვედეთი – მოლდოვა 6:0; თურქეთი – მაკედონია 3:3; მოლდოვა – აზერბაიჯანი 2:0; სლოვაკეთი – თურქეთი 0:1; მაკედონია – შვედეთი 1:1; აზერბაიჯანი – მაკედონია 1:1; სლოვაკეთი – მოლდოვა 4:2; თურქეთი – შვედეთი 1:2



მცირე ტრავმის მიუხედავად ჰაქან შუქური მაინც ითამაშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

## V ჯგუფი



უელსის დიდი ძალა — რაიან გიგზი დაქცლდება

**სომხეთი — ნორვეგია**
ერევანი. დღეს. 19:00
მსაჯი: ანდრეას შლუხტერი (შვეიცარია)
*დისკვალიფიცირებულნი:*
სომხეთი – არავინ
ნორვეგია – ოივინდ ლეონარდსენი, ოლე გუნარ სოლსკიაერი

**პოლონეთი — უკრაინა**
ხოჟუვი. დღეს. 18:30
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
*დისკვალიფიცირებულნი:*
პოლონეთი – არავინ
უკრაინა – სერგეი რებროვი

**უელსი — ბელარუსი**
კარდიფი. დღეს. 18:30
მსაჯი: პასკალე როდომონტი (იტალია)
*დისკვალიფიცირებულნი:*
უელსი – რაიან გიგზი, რობი სევიჯი
ბელარუსი – არავინ

**ჩვენი თავი** ჩვენვე გვეკუთვნისო, ამბობენ უკრაინელები და მართლებიც არიან — თუ ლობანოვსკის გუნდმა ხოჟუვში იმარჯვა, კარდიფის მატჩის შედეგს მათთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება. მიუხედავად ამისა, უკრაინის ფედერაციამ საკუთარი დამკვირვებლები უელსის მთავარ ქალაქშიც მიავლინა, მანჩესტერშიც და გელზენკირხენშიც — გერმანია ან ინგლისი ხომ პლეი ოფში მათი სავარაუდო მეტოქენი არიან.

კონჩაზასპადან პოლონეთში ჩასულ უკრაინის ნაკრებს ბევრი პრობლემა აწუხებს. აქედან ორი უმთავრესი დონეცკის „შახტარის" მეკარის იური ვირტის ტრავმა და ტოტენჰემელი სერგეი რებროვის დისკვალიფიკაციაა. „კი ბატონო, რებროვის არყოფნა დიდი დანაკლისია, მაგრამ რა ვქნათ, ვიტიროთ? რაც უნდა მოხდეს, კიევში 1:3 დამარცხებისთვის რევანში უნდა ავიღოთ" — ამბობს ანდრეი შევჩენკო, ვისაც, თუ კარგ ხასიათზეა, მარტოსაც ძალუძს მეტოქის დაწიოკება. აი, მეკარის პრობლემა კი ნამდვილი თავსატეხია — დარჩენილი სამიდან ვის ენდობა ლობანოვსკი: მოსკოვის ტორპედოს" სათადარიგო ვალერი ვორობიოვს, სათამაშო პრაქტიკის არმქონე დინამოელ ვიტალი რევას თუ საერთაშორისო მატჩების უნახავ, თუმც კი „ფიორენტინასთან" თავგამოჩენილ ნიკოლაი მედინს?

თავად ლობანოვსკის ყველაზე მეტად ნახევარდაცვა აფიქრებს. მწვრთნელი ასევე მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კარგა ხნის გასული პოლონეთი შეხვედრას მთელი ძალით ჩაატარებს, ვინაიდან მასპინძელთა თავკაც ეჟი ენგელს დაბადების დღე აქვს და კიდევ — პოლონურმა პრესამ, ჯგუფში ძლევამოსილად გამარჯვების მიუხედავად, არ დაინდო თავისი ნაკრები და ბელარუსში 1:4 წაგებისთვის კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

ხოჟუვის მატჩის პარალელურად, ჩვენი დროით საღამოს შვიდის ნახევარზე, დაიწყება მატჩი კარდიფშიც, სადაც დისკვალიფიცირებული რაიან გიგზისა და რობი სევიჯის გარეშე დარჩენილი მასპინძლები ჯგუფში პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდებიან. სტუმრებს, ცხადია, მეტი სტიმული ექნებათ, რადგან უკრაინელთა ვერმოგების შემთხვევაში მალოფეევს და კომპანიას პლეი ოფში გასვლის შანსი უჩნდება.

მესამე შეხვედრას კი, ერევანში რომ გაიმართება, იაპონია-კორეასთან არავითარი საერთო არ გააჩნია. უბრალოდ, სომხებს ლეონარდსენისა და სოლსკიაერის გარეშე ჩასულ ნორვეგიელებთან მოგების შემთხვევაში საპატიო მეოთხე ადგილის დაკავება ძალუძთ. შეგახსენებთ, რომ ევრო 2000-ის სკანდინავიურ ფინალისტთან ჩვენმა მეზობლებმა ოსლოშიც ღირსეულად ითამაშეს და უგოლო ქულას გამორჩნენ.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 20:10 | 20 |
| უკრაინა | 9 | 4 | 4 | 1 | 12:7 | 16 |
| ბელარუსი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:10 | 15 |
| ნორვეგია | 9 | 1 | 4 | 4 | 8:13 | 7 |
| უელსი | 9 | 0 | 6 | 3 | 9:12 | 6 |
| სომხეთი | 9 | 0 | 5 | 4 | 6:15 | 5 |

### ყველა მატჩი

ნორვეგია – სომხეთი 0:0; ბელარუსი – უელსი 2:1; უკრაინა – პოლონეთი 1:3; უელსი – ნორვეგია 1:1; სომხეთი – უკრაინა 2:3; პოლონეთი – ბელარუსი 3:1; ბელარუსი – სომხეთი 2:1; ნორვეგია – უკრაინა 0:1; პოლონეთი – უელსი 0:0; ნორვეგია – პოლონეთი 2:3; უკრაინა – ბელარუსი 0:0; სომხეთი – უელსი 2:2; პოლონეთი – სომხეთი 4:0; უელსი – უკრაინა 1:1; ბელარუსი – ნორვეგია 2:1; უელსი – პოლონეთი 1:2; უკრაინა – ნორვეგია 0:0; სომხეთი – ბელარუსი 0:0; ნორვეგია – ბელარუსი 1:1; უკრაინა – უელსი 1:1; სომხეთი – პოლონეთი 1:1; უელსი – სომხეთი 0:0; პოლონეთი – ნორვეგია 3:0; ბელარუსი – უკრაინა 0:2; უკრაინა – სომხეთი 3:0; ნორვეგია – უელსი 3:2; ბელარუსი – პოლონეთი 4:1

## VI ჯგუფი

**ხორვატია — ბელგია**
ზაგრები. დღეს. 21:00
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
*დისკვალიფიცირებულნი:*
ხორვატია – არავინ
ბელგია – იოჰან ვალემი

**შოტლანდია — ლატვია**
გლაზგო. დღეს. 21:00
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
*დისკვალიფიცირებულნი:*
შოტლანდია – არავინ
ლატვია – ანდრეის შტოლცერსი

**ძალიან** საინტერესო ვითარებაა ამ ჯგუფში. შოტლანდიელებს ლატვიასთან დიდი ანგარიშით გამარჯვება სჭირდებათ, ამასთან ერთად ბელგიელებმაც ზაგრებში ხორვატები უნდა დაამარცხონ, რათა სქოთებმა მეორე ადგილზე გადაბრძანება შეძლონ.

ახლა ვნახოთ, ბელგიელებს რომელი ვარიანტი აძლევთ ხელს. მათთვის ფრეც სასურველი შედეგია, რითაც პირველობას ინარჩუნებენ და პირდაპირ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს იფორმებენ. თუ ხორვატებმა მეტოქის ძლევა მოახერხეს, მაშინ შოტლანდია — ლატვიის შედეგი წყალსაც წაუღია, რობერტ პროსინეჩკი მეგობრებთან ერთად მომავალ ზაფხულს კორეა-იაპონიას ეწვევა. ზაგრებში ფრის შემთხვევაშიც „მამაცი გულები" დალონებულნი დარჩებიან, ხორვატებს კი პლეი ოფში ჭიდილი მოუწევთ.

მირკო იოზიჩმა ტრავმირებული ნიკო კოვაჩის ნაცვლად ზაგრების „დინამოს" მცველი იასმინ აგიჩი გამოიძახა. ასევე სავარაუდოა ტურინელი იგორ ტუდორის გამოჩენა. აი, იგორ შტიმაცი კი სერიოზულად დაშავებულა და გუნდს ვერაფრით დაეხმარება. „მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ითამაშებს და ვინ არა. მთავარია, ბოლომდე დაიხარჯოს გამარჯვებისთვის. ძალიან მჯერა ამ მატჩში წარმატებისა — განაცხადა პროსინეჩკიმ — ხორვატებს ბრძოლა ნამდვილად რომ შეუძლიათ, ვფიქრობ, ამაში ეჭვი არავის ეპარება".

25 გამოძახებული ფეხბურთელიდან კრეიგ ბრაუნს სამი მათგანი უკვე ხელიდან გამოეცალა. მათ შორის დომინიკ მატეო და ჯეკი მაკნამარა. კიდევ რამდენიმეს სხვადასხვა სახის მსუბუქი ტრავმები აწუხებთ. „ჩვენი ლაზარეთი სავსეა, შემცვლელი კი არავინ მყავს" — დაიწუწუნა შოტლანდიელმა მწვრთნელმა.

როგორც ლატვიელთა თავკაცმა ალექსანდრ სტარკოვმა ბრძანა, ლატვიელი ფეხბურთელებისათვის ეს თავის გამოჩენის საუკეთესო საშუალებაა და, ალბათ უფრო ამიტომ, მისი ბიჭები მაქსიმუმის გაკეთებას შეეცდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 7 | 5 | 2 | 0 | 25:5 | 17 |
| ხორვატია | 7 | 4 | 3 | 0 | 14:2 | 15 |
| შოტლანდია | 7 | 3 | 3 | 1 | 10:5 | 12 |
| ლატვია | 7 | 1 | 1 | 5 | 4:14 | 4 |
| სან მარინო | 8 | 0 | 1 | 7 | 3:30 | 1 |



REUTERS

ბელგიელი ემილ მპენზა მსოფლიოს ჩემპიონატზე უპლეიოფოდ მოსახვედრად ემზადება

### ყველა მატჩი

ლატვია – შოტლანდია 0:1; ბელგია – ხორვატია 0:0; სან მარინო – შოტლანდია 0:2; ლატვია – ბელგია 0:4; ხორვატია – შოტლანდია 1:1; სან მარინო – ლატვია 0:1; ბელგია – სან მარინო 10:1; შოტლანდია – ბელგია 2:2; ხორვატია – ლატვია 4:1; შოტლანდია – სან მარინო 4:0; ლატვია – სან მარინო 1:1; ბელგია – ლატვია 3:1; ხორვატია – სან მარინო 4:0; ლატვია – ხორვატია 0:1; სან მარინო – ბელგია 1:4; შოტლანდია – ხორვატია 0:0; სან მარინო – ხორვატია 0:4; ბელგია – შოტლანდია 2:0

## VII ჯგუფი

### ყველა მატჩი

ბოსნია – ესპანეთი 1:2; ისრაელი – ლიხტენშტაინი 2:0; ლიხტენშტაინი – ავსტრია 0:1; ესპანეთი – ისრაელი 2:0; ისრაელი – ბოსნია 3:1; ავსტრია – ესპანეთი 1:1; ბოსნია – ავსტრია 1:1; ესპანეთი – ლიხტენშტაინი 5:0; ლიხტენშტაინი – ბოსნია 0:3; ავსტრია – ისრაელი 2:1; ავსტრია – ლიხტენშტაინი 2:0; ლიხტენშტაინი – ისრაელი 0:3; ესპანეთი – ბოსნია 4:1; ისრაელი – ესპანეთი 1:1; ბოსნია – ისრაელი 0:0; ესპანეთი – ავსტრია 4:0; ლიხტენშტაინი – ესპანეთი 0:2; ავსტრია – ბოსნია 2:0

**ისრაელი — ავსტრია** გადაიდო
*დისკვალიფიცირებულნი:*
ისრაელი – არავინ
ავსტრია – თომას ფლოგელი, მიხაელ ბაური

**ბოსნია — ლიხტენშტაინი**
ზენიკა. ხვალ. 23:15
მსაჯი: ჯონ მაკდერმოტი (ირლანდია)
*დისკვალიფიცირებულნი:*
ბოსნია – სერგი ბარბარესი
ლიხტენშტაინი – არავინ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:4 | 20 |
| ავსტრია | 7 | 4 | 2 | 1 | 9:7 | 14 |
| ისრაელი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 |
| ბოსნია | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | 5 |
| ლიხტენშტაინი | 7 | 0 | 0 | 7 | 0:18 | 0 |



REUTERS

ავსტრიელი ანდრეას ჰერცოგი ისრაელში წასვლას გადარჩა

## VIII ჯგუფი

VIII ჯგუფი

**იტალია — უნგრეთი**
პარმა. დღეს. 23:45
მსაჯი: ეპიფანიო გონსალესი (პარაგვაი)
*დისკვალიფიცირებულნი:*
იტალია – ალესიო ტაკინარდი, ჯუზეპე პანკარო
უნგრეთი – არავინ

**რუმინეთი — საქართველო**
ბუქარესტი. დღეს. 23:45
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
*დისკვალიფიცირებულნი:*
რუმინეთი – კოზმინ კონტრა, კრისტიან კივუ
საქართველო – არავინ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 5 | 2 | 0 | 15:3 | 17 |
| რუმინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 9:6 | 15 |
| საქართველო | 7 | 3 | 0 | 4 | 11:11 | 9 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 14:12 | 8 |
| ლიტვა | 8 | 0 | 2 | 6 | 3:20 | 2 |

### ყველა მატჩი

რუმინეთი – ლიტვა 1:0; უნგრეთი – იტალია 2:2; ლიტვა – საქართველო 0:4; იტალია – რუმინეთი 3:0; ლიტვა – უნგრეთი 1:6; იტალია – საქართველო 2:0; უნგრეთი – ლიტვა 1:1; რუმინეთი – იტალია 0:2; საქართველო – რუმინეთი 0:2; იტალია – ლიტვა 4:0; რუმინეთი – უნგრეთი 2:0; საქართველო – იტალია 1:2; ლიტვა – რუმინეთი 1:2; უნგრეთი – საქართველო 4:1; ლიტვა – იტალია 0:0; საქართველო – უნგრეთი 3:1; უნგრეთი – რუმინეთი 0:2; საქართველო – ლიტვა 2:0


**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით.



ფასი შეთანხმებით

**ტელ: 22-23-15**

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა
## IX ჯგუფი

**ინგლისი — საბერძნეთი**
მანჩესტერი. დღეს. 19:00
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
დისკვალიფიცირებულნი:
ინგლისი – არავინ
საბერძნეთი – გეორგიოს ამანატიდისი

**გერმანია — ფინეთი**
გელზენკირხენი. დღეს. 19:00
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
დისკვალიფიცირებულნი:
გერმანია – დიტმარ ჰამანი
ფინეთი – არავინ

**„ამას უბრალოდ** გავიფიქრებ თუ არა, მაშინვე მუცლის გვრემა მეწყება" — თქვა კარლ ჰაინც რუმენიგემ და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მან ბუნდესნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერგასვლა იგულისხმა — და თუ მართლაც ასე მოხდა, რუდი ფიოლერი მაინც უნდა დარჩეს ნაკრებში".

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ ფორფელდერმა კი განაცხადა: „მსოფლიოს ჩემპიონატის უჩვენოდ გამართვა უზარმაზარ ზიანს მიაყენებს გერმანული ფეხბურთის პრესტიჟს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლები ვართ და აქედანვე უნდა დავიწყოთ ელიტაში დაბრუნებაზე ზრუნვა, რაც კორეა-იაპონიაში წასვლის გარეშე წარმოუდგენელია. გერმანული ფეხბურთის კრიზისის მიზეზად კი ბუნდესლიგაში უცხოელთა მოზღვავებას მივიჩნევ. თვით „ბაიერნიც" — ახალგაზრდა ვარსკვლავთა სამჭედლო, უცხოელებით არის სავსე".

როგორ იქნებოდა, თავისი სიტყვა ფრანც ბეკენბაუერსაც არ ეთქვა: „გერმანიის ნაკრები ერთი დიდი პრობლემაა. დაცვაშიც და თავდასხმაშიც ერთნაირად ცუდად გვაქვს საქმე".

მოკლედ, მატჩისწინა კომენტარები ისეთია, უარესს ვერც წარმოიდგენ და გუნდის მწვრთნელმა რუდი ფიოლერმაც ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „ვერ წარმომიდგენია, რა მოხდება, მსოფლიოზე თუ ვერ გავალთ". აქვე აღვნიშნოთ, რომ გერმანელებს, ფაქტობრივად, არც აქვთ ინგლისის წაფორხილების იმედი, არადა, მათ მხოლოდ ეს აძლევთ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსს. არა, თეორიულად ინგლისელთა გამარჯვების შემთხვევაშიც შეუძლიათ გერმანელებს, უპლეიოფოდ მოხვდნენ კორეა-იაპონიაში, მაგრამ მხოლოდ თეორიულად — თუ თავად სულ მცირე 7:0 მოუგებენ ფინელებს, მაგრამ ამის ალბათობა იმდენად მცირეა, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. უფრო რეალური ისაა, რომ ინგლისი საბერძნეთს მოუგებს, ალბათ, გერმანიაც გაიმარჯვებს (ცხადია, 7:0-ით არა) და გერმანელებს პლეი ოფში ბელარუსთან ან უკრაინასთან მოუწევთ ჭიდილი. ერთი სიტყვით, რუდი ფიოლერის გუნდს იოლი გასეირნება არ ელის.

შექმნილმა მძიმე ვითარებამ გერმანელები ისე დააბნია, რომ ისეთივე რამ დაემართათ, რაშიც საქართველოს ნაკრებია შენიშნული, კერძოდ:

გელზენკირხენის მახლობლად, დარფელდში დაბანაკებულმა ბუნდესნაკრებმა საფინეთოდ ერთ-ერთი ბოლო ვარჯიში ამ ქალაქის სტადიონზე დანიშნა, მაგრამ ბოლო წამს დაავიწყდათ, თუ სხვა რამ მოხდა, ნაკრების ავტობუსმა ბილერბეკისკენ გადაუხვია. რუდი ფიოლერს გასაიდუმლოებული ვარჯიში მაინც არ გამოუვიდა, რაკი ფანებს, ვარჯიშის ნახვა რომ სწყუროდათ, სასტუმროსთან მოეყარათ თავი და ავტობუსსაც აედევნენ, სულ ორი ათასამდე კაცი იქნებოდა. საფეხბურთო კავშირის დირექტორმა ბერნდ ჰფაფმა თავი იმართლა, უბრალოდ გაუგებრობა მოხდა, თორემ ქომაგებისგან დამალვა აზრადაც არ მოგვსვლიაო.

ასეა თუ ისე, ეს წვრილმანებია, მთავარი კი ის არის, თუ რომელ ფეხბურთელებს დაუპირისპირებს ფიოლერი ფინელებს, რომელთათვისაც ამ მატჩს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც სარუმინეთოდ გამზადებულ ქართველთათვის.

„ყველაფერს ვილონებ, რათა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშოთ" — განაცხადა დორტმუნდის „ბორუსიას" მცველმა კრისტიან ვიორნსმა, რითაც ნაკრებიდან წასვლა გადაიფიქრა. არადა, ამას წინათ ინგლისთან სამარცხვინო წაგებაში ბეკენბაუერმა სწორედ ის დაადანაშაულა და ისე დასწყევლა გული, რომ ფეხბურთელმა, მივდივარო, თქვა. „ვერ გამიგია, რას მერჩოდა ბეკენბაუერი. ხუთიდან სამი გოლი მაშინ გავუშვით, როცა მინდორზე აღარ ვიყავი. ძალიან გამწარებული ვიყავი, მაგრამ ფიოლერმა და მათიას ზამერმა დამარწმუნეს, სანერვიულო არაფერი გაქვსო და დაბრუნება გადავწყვიტე".


ორ აგურამდე საქმე ჯერ არ მისულა, გერმანელთა მწვრთნელ რუდი ფიოლერს ჯერჯერობით ორი ბურთი უჭირავს

REUTERS გელზენკირხენიდან

ემზადება ოლივერ ბირჰოფიც, ბუნდესნაკრების ძველი კაპიტანი, რომელსაც მწვრთნელი სასტარტო შემადგენლობაში ყოფნას დაჰპირდა. ოღონდ, ევრო 96-ის დროინდელ „ოქროს ბიჭუნას" ამგვარი პატივი კარსტენ იანკერის ტრავმამ არგუნა.

„სამწუხაროდ, იანკერი არ გვეყოლება — თქვა პრესკონფერენციაზე რუდი ფიოლერმა — ბოლო მომენტამდე მქონდა მისი მომჯობინების იმედი, მაგრამ ექიმებმა სანუგეშო ვერაფერი თქვეს".

ბირჰოფი მიწვევით, ცხადია, კმაყოფილია, მაგრამ თავმოყვარეობამ ეს ათქმევინა: „არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ ნაკრებში მხოლოდ სხვათა ტრავმების გამო მიმიწვიეს. დაგარწმუნებთ, რომ გოლების გატანა კვლავაც შემიძლია".

ბირჰოფის გარდა გერმანელებს მხოლოდ ერთი ჯანმრთელი თავდამსხმელი ჰყავთ — ლევერკუზენელი ოლივერ ნოივილი. გაურკვეველია მიროსლავ კლოზეს ამბავი, რომელიც დაშავებულია და ფიოლერმა თქვა, მატჩამდე თუ ვერ მომჯობინდა, ულფ კირსტენს დავუძახებო. 35 წლის კირსტენის მიწვევის იდეას დიდად გაუხარებია მისი თანაგუნდელი ნოივილი: „ულფი ნაღდი ბომბარდირია. ჩვეულებრივ, მე ფლანგიდან ვუტევ, ის კი მეტოქის საჯარიმოში იბრძვის. ჩვენ იდეალურად ვუგებთ ერთმანეთს".

„ტრავმები ჩვენთვის ახალი არაა, უბრალოდ ახლა ისეთი ვითარებაა, ეს პრობლემა უფრო თვალსაჩინო გახდა — დაუმატა ფიოლერმა — ისეთი ფეხბურთელების მოწვევა მომიწევს, რომელთაც იშვიათად ვათამაშებ, მარკო ბოდეს და ჯერალდ ასამოას ვგულისხმობ".

გავიხსენოთ, რომ ბოდე, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ოცდაათს გადაცილებულია, ისევე როგორც ბირჰოფი და კირსტენი.

ეჰ, ფიქრობენ, ალბათ, გერმანელები, ნეტავ, ინგლისელებს რა აქვთ საწუწუნო და სადარდებელიო.

არადა, აქვთ — არსენ ვენგერმა ინგლისელები გააფრთხილა, უმძიმესი მატჩი გელითო. „ოტო რეჰაგელს ძალიან კარგად ვიცნობ — თქვა „არსენალის" მწვრთნელმა — მას უზარმაზარი გამოცდილება აქვს და ხშირად ბლეფსაც მიმართავს. სხვათა შორის, ათენში „პანათინაიკოსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ ოტოს ვესაუბრე და ვიცი, რომ არაფრის დათმობას არ აპირებს. მას საოცარი ნიჭი აქვს — ძალუძს ფეხბურთელები ერთ გუნდად შეკრას და მათ რწმენა ჩაუნერგოს. ფინელებთან 1:5 რომ წააგეს, ეს არაფერს ნიშნავს, ინგლისისთვის უარესიცაა, რადგან რეჰაგელი საჭირო დასკვნებს გამოიტანდა".

ოტო რეჰაგელზე ლაპარაკისას უპირველესად ის უნდა ვთქვათ, რომ საბერძნეთის ნაკრების მესაჭეობიდან ვასილოს დანიელის გათავისუფლების მერე (ინგლისთან შინ წაგების გამო) ბერძნებმა გერმანელი მიიწვიეს.

რეჰაგელს ოთხშაბათს უთქვამს: „ამ მატჩში ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი. მინდა დავრწმუნდე, რომ ჩემი ფეხბურთელები თავიანთი ქვეყნის პატრიოტები არიან და თავგანწირვით თამაში შეუძლიათ". ისიც გასათვალისწინებელია, რომ რეჰაგელს მთელი გერმანია იმედის თვალით შეჰყურებს, რადგან ახლა მხოლოდ მასზეა დამოკიდებული ბუნდესნაკრების უპლეიოფოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა.

საინტერესოა, რომ ბერძნები და ინგლისელები აქამდე შვიდჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ბერძნებს ერთხელაც ვერ მოუგიათ.

თამაში რომ დაძაბული იქნება, ორივე მხარე აღნიშნავს. „ნიუკასლის" ბერძენმა ნიკოს დაბიზასმა თქვა, სვენ გორან ერიკსონი ის მწვრთნელი არ არის, მეტოქე სათანადოდ ვერ შეაფასოსო.

ინგლისელთა უპირველესი თავსატეხი ტრავმებია. მაიკლ ოუენის ტრავმაზე აქამდეც ბევრი ითქვა და ნუ შევჩერდებით, ოღონდ ერიკსონის სიტყვები მოვისმინოთ: „ცხადია, მაიკლის არყოფნა სამწუხაროა, მაგრამ რას გავაწყობთ, ფეხბურთი ასეთია. ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ მის გარეშეც ძალიან ბევრის გაკეთება შეგვიძლია".

ბუნდოვანია სტივ მაკმანამანის საკითხიც, რომელსაც კუნთი აქვს დაჭიმული, თუმცა სერიოზული არაფერია. დევიდ სიმენი კი კარს ვერ დაიცავს. „არსენალის" მეკარემ მხრის ტრავმის გამო პრემიერლიგაში „დერბისთან" მატჩი გამოტოვა. ერიკსონს მისი მომჯობინების იმედი კი ჰქონდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა და მწვრთნელმა თავი იმით ინუგეშა, სიმენის გარდა სამი ბრწყინვალე მეკარე მყავსო. ამ სამიდან შვედი უპირატესობას ლიდსელ ნაიჯელ მარტინს ანიჭებს.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 7 | 5 | 1 | 1 | 14:4 | 16 |
| გერმანია | 7 | 5 | 1 | 1 | 14:10 | 16 |
| ფინეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:7 | 11 |
| საბერძნეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 5:15 | 6 |
| ალბანეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 5:14 | 3 |


ინგლისელთა კაპიტანი დევიდ ბექემი ბერძნებს მშობლიურ „ოლდ ტრეფორდზე" დაუხვდება

REUTERS მანჩესტერიდან

## ყველა მატჩი

ფინეთი – ალბანეთი 2:1; გერმანია – საბერძნეთი 2:0; ინგლისი – გერმანია 0:1; საბერძნეთი – ფინეთი 1:0; ფინეთი – ინგლისი 0:0; ალბანეთი – საბერძნეთი 2:0; ინგლისი – ფინეთი 2:1; გერმანია – ალბანეთი 2:1; ალბანეთი – ინგლისი 1:3; საბერძნეთი – გერმანია 2:4; ფინეთი – გერმანია 2:2; საბერძნეთი – ალბანეთი 1:0; ალბანეთი – გერმანია 0:2; საბერძნეთი – ინგლისი 0:2; ალბანეთი – ფინეთი 0:2; გერმანია – ინგლისი 1:5; ფინეთი – საბერძნეთი 5:1; ინგლისი – ალბანეთი 2:0

გიო ახვლედიანის

## გულის გადასაყოლებლად

აი, რას ვფიქრობ: ნეტავ ოსამა ბენ ლადენს თუ უყურებია ფეხბურთისთვის?

ამასწინათ, ერთ ჩვენებურ ჟურნალში განთქმული ინგლისელი ჟურნალისტის, საიმონ კუპერის სტატია წავიკითხე. ბატონი კუპერი, არაერთი მშვენიერი საფეხბურთო წიგნის ავტორი, ამტკიცებს, საქვეყნო ძნელბედობის ჟამს ადამიანებს ერთადერთი გულის გადასაყოლებელი რამ, ფეხბურთი რჩებათო და შესაბამისი, რომანტიკით ალსავსე მაგალითებიც მოჰყავს, თუ როგორ თამაშობდნენ ტყვეები და მეთვალყურეები ბურთს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, როგორ მიიჩქაროდნენ სიკვდილს სასწაულით გადარჩენილი ოფიცრები სტადიონზე მატჩის საცქერლად და ა.შ.

ბატონი კუპერი მართალია. ჩვენი ქვეყნის მაგალითზეც კი. თუმცა, ალბათ, ამ სტატიის წერისას მას საერთოდ არ უფიქრია ჩვენნაირ საფეხბურთო ქვეყანაზე. ბოლო მონაცემებით, რომელიც ასევე ქართულ გაზეთში ამოვიკითხე, ჩვენი ქვეყნიდან საშოვარისა და ადამიანური ცხოვრების საძიებლად ერთი მილიონ ოთხასიათასი კაცია გადახვეწილი. აქ დარჩენილთა კარგა დიდი ნაწილი კი ფეხბურთით სულდგმულობს. სულაც არ ვხუმრობ. თბილისში ნამდვილად და ალბათ, რამდენიმე სხვა ქალაქშიც, ტელევიზია აძლევს საშუალებას ადამიანს მუდმივ კავშირში იყოს მსოფლიო ფეხბურთთან, ალბათ, ერთადერთ ნაღდ სანახაობასთან, სამყაროს რომ შერჩენია. საერთაშორისო ფეხბურთის ცქერა არის ასევე ერთადერთი გულისგადასაყოლებელი რამ უამრავი ადამიანისთვის. ხალხის ამავე მასისთვის ფეხბურთი არის იმედისა და შესაძლო შემოსავლის წყაროც. ჩვენში ტოტალიზატორების არსებობა, ფეხბურთით შობილი კიდევ ერთი იმედია.

ასე ვცხოვრობთ და გუშინწინ „იესპიენის" არხი დაიკარგა „აიეტის" ეკრანიდან და მისი ადგილი გუშინაც „პოლსატს" ეჭირა. „იესპიენი" გამქრალა რამდენიმე აზიური ქვეყნიდანაც. კოსმოსში ხდება რაღაცა თუ რა არის ამ არეულ მსოფლიოში, რაღას გაიგებ? იმიტომაც ვამბობ, ბინ ლადენი თუ უყურებს-მეთქი. სვეტი პარასკევს იწერება და შაბათს იკითხება. ამ შაბათ დილით ეგებ „იესპიენი" ჩართულიც იყოს, სხვა მრავალისა არ იყოს, შაბათ საღამოს რომ ფეხბურთს ვერ ვუყურო, რა ვქნა? ეს ერთი ფეხბურთია, რომ ნამდვილად რაღაც არის და...

თუმცა, ეს არაფერი. თალიბებმა საერთოდ აკრძალეს ტელევიზორი. თავისთვის კი აქვთ ალბათ, „სიენენის" საყურებლად, მაგრამ ფეხბურთი? „იესპიენის" ინდურ ვერსიას ხომ ქაბულშიც დაიჭერენ? მალე დაიჭერენ და კარგიც იქნება. ეგებ ვინმემ შეხედოს, გულს მაინც გადააყოლებს.

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# სამხრეთ ამერიკა. XVI ტური

# ვერონი უკვე მსოფლიოს ჩემპიონია
## სკოლარის დონე აშინებს



რონალდინიო, დენილსონი და რობერტო კარლოსი

**ბოლივია — ეკვადორი**
ლა პასი. 6 ოქტომბერი. 01:00
მსაჯი: ანხელ სანჩესი (არგენტინა)

**ვენესუელა — პერუ**
სან კრისტობალი. 6 ოქტომბერი. 04:30
მსაჯი: მარიო სანჩეს იანტენი (ჩილე)

**ურუგვაი — კოლუმბია**
მონტევიდეო. 7 ოქტომბერი. 24:00
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

**პარაგვაი — არგენტინა**
ასუნსიონი. 7 ოქტომბერი. 03:15
მსაჯი: ჯილბერტ იდალგო ზამორა (პერუ)

**ბრაზილია — ჩილე**
კურიტიბა. 7 ოქტომბერი. 24:00
მსაჯი: ხორაციო ელიზონდო (არგენტინა)

**კორეა-იაპონიის** მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის სამხრეთამერიკელ მაძიებლებს სამი ტურიღა დარჩათ გასამართი. გარკვეული მხოლოდ ერთი რამაა: არგენტინის ნაკრებმა შესარჩევი ეტაპის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე დაიბევა დედამიწის მეორე კიდეში ნავარდის უფლება. ახლა მათ მწვრთნელ მარსელო ბიელსას გუნდის თამაშის დახვეწის, კორეა-იაპონიისთვის ფეხბურთელთა სწორად შერჩევის გარდა საფიქრალი არაფერი აქვს. ალბათ. ამიტომაც, მარსელო ბიელსამ პარაგვაელებთან საკვირაო მატჩში თავდასხმის ხაზში რა ხანია მივიწყებული ბატისტუტა ერნან კრესპოს ჩაუნაცვლა.

მაგრამ რაც ზემოთ ვთქვით, სულაც არ ნიშნავს, რომ ასუნსიონში არგენტინელები ოდენ სასეირნოდ ჩავლენ და მაყურებელიც მათ ერთ-ერთ საწვრთნელ თამაშს იხილავს. ბიელსას ბიჭები გასვლაზე მოგებით „ინჩასას“, რომელსაც სიხარული ისედაც არ აკლია, კვლავ გახარებას ჰპირდებიან. „ლაციოს“ თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი ამბობს: „არ მესმის მათი, ვინც ამბობს, რომ არგენტინელები დაწვებიან. ჩვენ ისევე ვითამაშებთ, როგორც ადრე. არგენტინის ნაკრებს დიდი ავტორიტეტი და სახელი აქვს, რაც ყოველთვის მაქსიმუმის გაკეთებას გვავალდებულებს“.

მარსელო ბიელსა ასუნსიონში დისკვალიფიკაციამოხდილ ხუან სებასტიან ვერონსაც იახლებს. მანჩესტერელთა ვარსკვლავი პარაგვაელების შესახებ არაფერს ამბობს, მოვლენებს წინ უსწრებს და მსოფლიოს ჩემპიონატის მზა პროგნოზს იძლევა: „მე მჯერა, რომ კორეა-იაპონიაში ჩვენს შეჩერებას ვერავინ შეძლებს. ჩვენს გუნდში მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი. უმეტესობა ოცდაშვიდი-ოცდარვა წლისაა და საკმაოდ გამოცდილიცაა“.

პროგნოზებისგან თავს შევიკავებთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ბიელსას მართლაც უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს და დიდი არჩევანის საშუალებაც აქვს. არგენტინელთა მწვრთნელს ამიტომაც არა აქვს სირთულეები შემადგენლობასთან დაკავშირებით. და მარსელო ბიელსამაც იოლად გადაწყვიტა პარაგვაელებთან სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის უთამაშებლობის პრობლემა. კვირას არგენტინელთა რიგებში ხერმან ბურგოსის, ნელსონ ვივასისა და დიეგო სიმეონეს ნაცვლად პაბლო კაბალიეროს, მაურისიო პოჩეტინიოსა და მატიას ალმეიდას ვიხილავთ.

არგენტინელებს თავი ქუდში აქვთ. აი, მათ მუდმივ მეტოქეს, ბრაზილიას და ამ ორის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში ყველაზე სახელოვან ურუგვაისა და კოლუმბიის ნაკრებებს გვარიანი ცეცხლი აქვთ შენთებული. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა შინ ჩილელებს უცილობლად უნდა სძლიონ. თითქოს ეს ძნელი საქმე არ უნდა იყოს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ შარშან აგვისტოში ჩილელებმა საკუთარ კედლებში ტიტულიანი მეზობლები დიდი ანგარიშით დაამარცხეს. ბრაზილიელთა მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარიც ფრთხილობს, ამბობს: „ფეხბურთის დონე მსოფლიოში ძალიან გათანაბრდა, არსებობს მხოლოდ მცირედი განსხვავებანი თამაშის სტილში. ბრაზილიას ჩილელებთან შეხვედრაში უდავო ფავორიტად ვერ ჩავთვლი. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი გუნდი თანამედროვე, დაცვაზე ორიენტირებული ტაქტიკით ითამაშებს“.

„ტეტრაკამპეონეთა“ მწვრთნელმა კვლავ ნაკრების მიღმა დატოვა დღესაც კი ერთ-ერთი საუკეთესო ბრაზილიელი თავდამსხმელი, 35 წლის ვეტერანი რომარიო. სკოლარი უცნობი მიზეზების გამო ნახევარმცველ ზინიოსაც შემოსწყრა. სამაგიეროდ, ნაკრებში კვლავ გამოჩნდა ჯოვანი ელბერი. „დიდ ფილს“ ორი სანპაულუელი, ემერსონი და ფრანცაც შეუყვანია განაცხადში.

ჩილელებზე კი ახალს ვერაფერს ვიტყვით. უფრო სწორად, მათგან რაიმე განსაკუთრებული ნაკლებადაა მოსალოდნელი (კორეა-იაპონიაში გამგზავრება მათთვის უკვე ოცნებაც აღარაა). ისე, სასხვათაშორისოდ კი ვთქვათ, რომ ჩილელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ. ბრაზილიაში სტუმრებს ხორხე გარსესი ჩაიყვანს.

უკიდურესად ცხელი კვირა იქნება მონტევიდეოში. ბრაზილიელთა კვალში ჩამდგარი მეხუთეადგილოსანი ურუგვაელები მდევარ კოლუმბიელთა ძლევას შეეცდებიან. მასპინძელ ურუგვაელებს საოცნებო ოთხეულში შეღწევის უფრო კარგი შანსი აქვთ. კოლუმბიელები კი წაგების შემთხვევაში შესაძლოა მეხუთე ადგილსაც ვერ შესწვდნენ (მეხუთე ადგილზე გასულს ავსტრალიასთან უწევს გადათამაშება).

კოლუმბიის ნაკრებს და მის მწვრთნელ ფრანსისკო მატურანას უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვთ. მატურანას, რომელმაც ამ ზაფხულს კოლუმბიელებს კოპა ამერიკა მოაგებინა, წარუმატებლობის შემთხვევაში კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით უკიდურესი ზომები ელის. ცხადია, ამგვარი წნეხი გუნდის თამაშზეც აისახება. ამას ემატება ისიც, რომ მატურანა ერთობ საჭირო ნახევარმცველს, ჯოვანი ერნანდესსა და სათადარიგო მეკარე მიგელ კალეროს მოისაკლისებს. ურუგვაელებმა კი საბრძოლო შემადგენლობას მოუყარეს თავი. კოლუმბიელებთან მატჩში ალვარო რეკობა, ჯანი გიგუ და დარიო სილვა მასპინძელთა ძირითადი დამრტყმელი ძალა იქნება.

მატურანამ ურუგვაელთა წინააღმდეგ გვარიანად მობერებული ფაუსტინო ასპრილიაც იხმო. მოსალოდნელია, რომ კოლუმბიელები სამი თავდამსხმელით ითამაშებენ. კოლუმბიელთა კაპიტანი ივან კორდობა თანაგუნდელებს ამხნევებს, თუმცა მის სიტყვებს თავდაჯერებულობა აკლია. „ურუგვაისთან მთელი ჯიგრით უნდა ვითამაშოთ, ამ მატჩში გადაწყდება, წავალთ თუ არა კორეა-იაპონიაში“.

და კიდევ ერთი, ისეთი პატარა და არასაფეხბურთო ქვეყანა, როგორიც ეკვადორია, რომელიც მართლაც გვაოცებს თავისი ბოლოდროინდელი თამაშით, ძალიან ახლოსაა იმასთან, რომ ეკვადორული ფეხბურთის არსებობის მანძილზე პირველად გაემგზავროს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ისინი შაბათს ბოლივიას სტუმრობენ. ეკვადორელები ჯგუფში მესამე ადგილზე არიან, ბოლივიელებს კი ამ თამაშის მოსაგებად თავმოყვარეობის გარდა სხვა მოტივაცია არა აქვთ.

**გიორგი გამარდაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 15 | 12 | 2 | 1 | 37:12 | 38 |
| პარაგვაი | 15 | 9 | 2 | 4 | 26:14 | 29 |
| ეკვადორი | 15 | 8 | 2 | 5 | 17:18 | 26 |
| ბრაზილია | 15 | 7 | 3 | 5 | 25:14 | 24 |
| ურუგვაი | 15 | 7 | 3 | 5 | 16:10 | 24 |
| კოლუმბია | 15 | 5 | 5 | 5 | 12:13 | 20 |
| პერუ | 15 | 4 | 3 | 8 | 13:19 | 15 |
| ბოლივია | 15 | 3 | 5 | 7 | 16:26 | 14 |
| ჩილე | 15 | 3 | 2 | 10 | 14:22 | 11 |
| ვენესუელა | 15 | 3 | 1 | 11 | 12:40 | 10 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| ერნან კრესპო | (არგენტინა) | 9 |
| რომარიო | (ბრაზილია) | 8 |
| აუგუსტინ დელგადო | (ეკვადორი) | 8 |
| რივალდო | (ბრაზილია) | 6 |
| ხოსე კარდოზო | (პარაგვაია) | 6 |
| ხუან სებასტიან ვერონი | (არგენტინა) | 5 |
| კარლოს პარადესი | (პარაგვაი) | 5 |
| გაბრიელ ბატისტუტა | (არგენტინა) | 4 |
| მარსელო სალასი | (ჩილე) | 4 |
| ივან სამორანო | (ჩილე) | 4 |
| დარიო სილვა | (ურუგვაი) | 4 |



ბრაზილიელმა ჟამპეტამ ბურთზე კარგი გასართობი მოძებნა



კოლუმბიელები არგენტინაში გადიოდნენ შეკრებას და ურუგვაიში წასულებმა ბრმანაწლავამოჭრილი ჯოვანი ერნანდესი ბუენოს აირესში დატოვეს

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია



შარშანდელი „დეპორტივო" — „ბარსელონა" მასპინძელთა 2:0 გამარჯვებით დასრულდა

## სათადარიგოთა ტური

| VII ტური |
|---|
| **დღეს** |
| რეალი - ბილბაო |
| დეპორტივო - ბარსელონა |
| **ხვალ** |
| ვალიადოლიდი - ლას პალმასი |
| ბეტისი - ალავესი |
| მალაგა - სელტა |
| ვალენსია - ვილიარეალი |
| მალიორკა - სარაგოსა |
| სოსიედადი - სევილია |
| ტენერიფე - რაიო ვალეკანო |
| ესპანიოლი - ოსასუნა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 10:2 | 14 |
| ბეტისი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| ვილიარეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| სელტა | 6 | 3 | 3 | 0 | 11:3 | 12 |
| დეპორტივო | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 11 |
| ალავესი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| ბილბაო | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| სევილია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| ვალენსია | 6 | 2 | 4 | 0 | 6:4 | 10 |
| ოსასუნა | 6 | 3 | 1 | 2 | 3:6 | 10 |
| ესპანიოლი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:12 | 9 |
| სარაგოსა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ლას პალმასი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:5 | 7 |
| რეალი | 6 | 1 | 2 | 3 | 11:12 | 5 |
| მალაგა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ვალიადოლიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | 5 |
| ტენერიფე | 6 | 1 | 1 | 4 | 2:9 | 4 |
| მალიორკა | 6 | 1 | 1 | 4 | 1:9 | 4 |
| რაიო ვალეკანო | 6 | 0 | 1 | 5 | 5:11 | 1 |
| სოსიედადი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:11 | 1 |

**კატალონიური** „სპორტის" პესვეტე იოჰან კრუიფმა დაწერა: „ეს რა უბედურებაა, მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ კვირაში შესარჩევი მატჩებისკენ არის მიმართული, ესპანეთში კი ორ ტურს მართავენ". მართლაც რვა დღეში სამი ტური ხუმრობა არ არის, მაგრამ ასეა და რა ვუყოთ. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ თავისი ნაკრები უკვე დაიგულა მსოფლიოს ჩემპიონატზე და იმაზე არ დაფიქრებულა, რომ ესპანეთში უამრავი ფეხბურთელია, რომლებიც სხვა ნაკრებებში არიან გამოძახებულნი. ამ ტურში პრიმერადივიზიონის კლუბებს ოცდაათი და სეგუნდადივიზიონელებს ოთხი უცხოელი ფეხბურთელი დააკლდება. ამას ტრავმები და დისკვალიფიკაციებიც დავუმატოთ და მივიღებთ, რომ მეშვიდე ესპანური ტური სათადარიგო მოთამაშეებისა იქნება.

აი, „ბარსელონა" — გუნდი, რომელიც ჩემპიონატის ლიდერია, ჯერაც დაუმარცხებელია და ამ ტურში სტუმრად თამაშობს „დეპორტივოსთან". „ამ სეზონში „დეპორტივოზე" ძლიერი მეტოქე ჯერ არ შეგვხვედრია" — თქვა კატალონიელთა ბრაზილიელმა ჯოვანიმ, რომელიც საზაფხულო სატრანსფერო ბაზარზე კლუბის ერთობ წარმატებული შენაძენი გამოდგა.

„დეპორტივო" რომ ძლიერი გუნდია, ჯოვანის დამოწმება არც სჭირდება, ისედაც ცხადია, თან მშობლიურ „რიასორზე" თამაშობს, მაგრამ ვინ უნდა დაუპირისპიროს კარლოს რექსაჩმა გალისიელებს, საკითხავი აი, ეს არის. „ბარსას" ჩვეული სასტარტო შემადგენლობის ათი ფეხბურთელი აკლია: ფილიპ კრისტენვალი და ფაბიო როჩემბაკი ტრავმების მოშუშებას კიდევ ორ კვირას მოუნდებიან, სერხის და მარკ ოვერმარსის იარებს კი უფრო ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. ბრაზილიელი რივალდო, შვედი პატრიკ ანდერსონი და იტალიელი ფრანჩესკო კოკო სანაკრებოდ არიან გამოძახებულნი. მოკლედ, ვინღა დარჩა? ფაქტობრივად, არავინ და კარლოს რექსაჩს „ბარსელონა B-დან" გადაუწყვეტია რამდენიმე ფეხბურთელის დამატება, რომელთა გამოცდილებაც მესამე დივიზიონს არ სცილდება.

ამის საპირისპიროდ, ლაკორუნიელებს ერთადერთი მნიშვნელოვანი დანაკარგი აქვთ — იუგოსლავიელი მცველი გორან ჯოროვიჩი, რომელიც სამშობლოში ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო წავიდა. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ხავიერ ირურეტას გუნდში მატება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯოროვიჩის არყოფნა. როგორც იქნა, მომჯობინდა ჯალმინია, რომელიც, მოგეხსენებათ, გუნდის გულია.

იუპ ჰეინკესი კი შურისძიებისთვის ემზადება. ამ მწვრთნელმა 1998 წელს მადრიდის „რეალს" ჩემპიონთა თასი მოაგებინა და გარჯა... გათავისუფლებით „დაუფასეს". ასეთი რამეები ადამიანებს არ ავიწყდებათ და სამი წლის მერე ჰაინკესი „სანტიაგო ბერნაბეუზე" ბრუნდება, ბილბაოს „ატლეტიკი" ჩაჰყავს. შევნიშნოთ, რომ ბასკებმა სეზონში სამივე გასვლითი მატჩი მოიგეს. ვისენტე დელ ბოსკემ კი აღნიშნა, ზოგიერთი ჩემი ფეხბურთელი დაღლილობას უჩივისო, რითაც, ალბათ, თავი დაიზღვია.

შურისძიება რომ ვახსენეთ, იუპ ჰაინკესმა ინტერვიუში თქვა, ჩემი მიზანი მადრიდიდან სამი ქულის წაღებაა და არა შურისძიებაო, თუმც ჟურნალისტები აღნიშნავენ, მწვრთნელმა ეს სიტყვები ისეთი იერით წარმოთქვა, ძველი წყენა აშკარად გულში ჩარჩენიაო.

„რეალის" კიდევ ერთი ყოფილი მწვრთნელი, მადრიდიდან თავის დროზე სკანდალურად წასული ჯონ ტოშაკი, ახლა ჩვენებური გიორგი დემეტრაძის „რეალ სოსიედადს" რომ უდგას სათავეში, „სევილიას" მასპინძლობს და კიდევ თუ წააგო, ალბათ, მოხსნას ვერ გადაურჩება.

ბოლოს ისევ „ბარსელონას" მივუბრუნდეთ და შევნიშნოთ, რომ კატალონიელები, თუ ვერ მოიგეს, პირველ ადგილს, ალბათ, გამოეთხოვებიან. მათ ფეხდაფეხ მისდევენ „ბეტისი" და „ვილიარეალი". სევილიელთა მეტოქე „ალავესია", რომელიც სტუმრად ჯერ არ დამარცხებულა, ხოლო „ვილიარეალი" ვალენსიაში ჩადის. თუ ძალების რეალურ თანაფარდობას გავითვალისწინებთ, „ბარსელონას" ჩამოტოვების უკეთესი შანსი „რეალ ბეტისს" აქვს და ეს მიუხედავად იმისა, რომ დენილსონი ბრაზილიის ნაკრებში გაუშვა.



ბარსელონელთა ახალწვეული ჯოვანი „დეპორტივოს" უფრთხის

## ფეხბურთის რუპორთან



**ინგლისურ** „ნიუკასლში" ორი ახალი ფეხბურთელი ჩაირიცხა — იტალიური „ინტერის" თურქი თავდამსხმელი ჰაქან შუქური და გერმანული „ნიურნბერგის" შვედი მცველი ნილს ერიკ იოჰანსონი. იოჰანსონი, რომლის ტრანსფერის შესახებ ინფორმაცია ახლახან გამოჩნდა „ნიურნბერგის" ვებ-გვერდზე, ბედნიერია, რომ ინგლისში თამაშის შესაძლებლობა მიეცა, თავის უკვე ყოფილ გუნდს კი წარმატებებს უსურვებს. „აქ შესანიშნავი დრო გავატარე, დარწმუნებული ვარ, „ნიურნბერგი" შეძლებს ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას". შვედისგან განსხვავებით, ჰაქან შუქურს არცთუ კარგი მოგონებები მიჰყვება იტალიიდან: „მაშინაც კი, როდესაც კარგ ფორმაში ვიყავი, თავის გამოჩენის შანსი არ მეძლეოდა". ჰაქანი ახლა ეროვნულ გუნდთან ერთად მოლდოვის ნაკრების წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისათვის ემზადება, ორშაბათს კი ინგლისში გადაფრინდება.

**შოტლანდიურმა „ლივინგსტონმა", „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე, 23 წლის ნიკ კალკინი დაიმატა. მას „მანჩესტერის" შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, გასული სეზონი კი ინგლისის მეორე დივიზიონის „ბრისტოლ როვერსში" გაატარა.**

**ინგლისურ** „ჩელსის" 24 წლის დანიელი ნახევარმცველი იესპერ გრონკიაერი სულ მცირე, 4 თვით დააკლდება. მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც ფეხბურთელმა ორი კვირის წინ მიიღო. კოპენჰაგენის ერთ-ერთ კლინიკაში ორშაბათს ჩატარებული ოპერაციის შემდეგ გრონკიაერის მკურნალმა ექიმმა ეიოლუფ ლარსენმა განაცხადა: „დანიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ გადაადგამს ყავარჯნებს, სრულყოფილ ვარჯიშს კი სამი თვის შემდეგ დაიწყებს."

**იტალიური „ლაციოს" არგენტინელმა ნახევარმცველმა დიეგო პაბლო სიმეონემ მუხლის ტრავმა ჯერ კიდევ ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიიღო. მედიკოსთა თქმით, ტრავმა სერიოზულია და გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. დიეგო სიმეონე მხოლოდ აპრილისთვის თუ შეძლებს მინდორზე გამოჩენას.**

**გერმანული** „ლევერკუზენისა" და პოლონეთის ნაკრების ყოფილი მეკარე ადამ მატიშეკი მალე „ვოლფსბურგთან" გააფორმებს კონტრაქტს. მატიშეკი, „ვოლფსბურგში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის, მათი საკუთრება კი 2003 წლამდე იქნება.

**ფრანგული „სედანის" მცველ ლუი სატორას „ლილთან" მატჩისას ორი ნეკნი გაუტყდა და გუნდს ერთი თვით გამოაკლდა. აღსანიშნავია, რომ ეს უკვე სატორას მეორე ტრავმაა ამ სეზონში. სექტემბერში მან კოჭი დაიშავა.**

**ესპანური** „დეპორტივოს" მცველი მანუელ პაბლო, რომელმაც წინა კვირას „სელტასთან" მატჩში ფეხი მოიტეხა, საავადმყოფოდან გამოწერეს. ახლა მანუელ პაბლო მომავალზე ფიქრობს და ოპტიმისტურადაა განწყობილი. მისი თქმით, მთავარია აღდგენითმა კურსებმა ნორმალურად გაიაროს, რომელიც 6 თვეს გასტანს, მისი მთავარი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშია.

## ესპანეთი

**VI ტური**

**სელტა 1:1 ვალენსია**

0:1 ხუან სანჩესი (6), 1:1 მორისი (48)

სელტა: პინტუ, ველასკო (მორისი 46), ბერიზო, ხუანფრანი, სერხიო, ჯოვანელა, ედუ, ხესული (სილვინიო 54), ბობანი (კოირა 73), ლუქსენი, კატანია

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, მარჩენა (დავიდ ნავარო 73), კურრო ტორესი, ალბელდა, ვისენტე, რუფეტე, სალვა, ანგულო (გარიდო 38), ხუან სანჩესი (სერბანი 82)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილებები: ალბელდა, კატანია, ვიქტორ ფერნანდესი (34, „სელტას" მწვრთნელი), ანგულო, სალვა, ლუქსენი, მარჩენა, ჯოვანელა, კანისარესი, დავიდ ნავარო

მსაჯი: კარმონა მენდესი

12 000 მაყურებელი

## უკრაინა

**თასის V ეტაპი. I მატჩები**

ნივა (ტერნოპოლი) (I) — ობოლონი (კიევი) (I) 0:1; პრიკარპატია (ივანო-ფრანკოვსკი) (I) — მეტალისტი (ხარკოვი) 0:0; ვოლინი (ლუცკი) (I) — ვორსკლა (პოლტავა) 1:0; პოლიგრაფტექნიკა (ოლექსანდრია) — ჩერნომორეცი (ოდესა) (I) 4:1; ვინიცა (I) — კრივბასი (კრივოი როგი) 2:2; ბორისფენი (ბორისპოლი) (I) — კარპატი (ლვოვი) 0:2; სტალ (ალჩევსკი) (I) — მაშინობუდივნიკი (დრუჟკოვკა) (I) 3:0; ელექტრომეტალურგი (ნიკოპოლი) (I) — ზაკარპატია (უჟგოროდი) 2:2

საპასუხო მატჩები გაიმართება 14-15 ოქტომბერს

## იტალია

**თასის II ეტაპი. I მატჩი**

**სამპდორია 1:1 ტორინო**

0:1 ფერანტე (37), 1:1 მარკოლინი (87პ)

## ამხანაგური მატჩი

**იაპონია 0:2 სენეგალი**

0:1 დიუფი (77), 0:2 ტიავი (90)

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**

## აზია. II წრე

**B ჯგუფი. VII ტური**

**ყატარი 1:2 საამიროები**

0:1 ხალილი (43), 1:1 ჰამზა (47), 1:2 სელემი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| საამიროები | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | 10 |
| ყატარი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:7 | 9 |
| უზბეკეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| ომანი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:11 | 2 |

ხვალ: ჩინეთი — ომანი

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი შარშანდელ ჩემპიონატში ექვსეულში კი მოხვდა, მაგრამ მეტისთვის ძალა არ ეყო. პლეი ოფისკენ გზა „მაკაბიმ" გადაუღობა, არადა, სტუდენტების წინასასეზონო ამოცანა მინიმუმ ოთხეულში მოხვედრა იყო და ამის საფუძველს კიდეც იძლეოდა ზაზა ზამთარაძის გუნდი. თსუ-ში მართლაც ძლიერ ახალგაზრდა კალათბურთელებს მოეყარათ თავი, მაგრამ ვერა და ვერააწყვეს თამაში, მათ გარჯას თითქოს მარილი აკლდა. შუა სეზონში კი ავადმყოფობის გამო გუნდს მთავარი მწვრთნელი გამოაკლდა და ამბიციებიც უკან დარჩა.

სტუდენტთა გუნდს ამბიციურობა არც წლეულს აკლია. შარშანდელზე გაცილებით ძლიერ შემადგენლობას რომ თავი დავანებოთ, თსუ-ს მთავარ მწვრთნელად საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი სპეციალისტი, „ვითას" ხუთჯერ გამჩემპიონებელი და ნაკრებგამოვლილი ბესიკ ლიპარტელიანი დაინიშნა. თუმც ცნობილ მიზეზთა გამო ლიპარტელიანის გუნდში დარჩენა სათუოა. თუ იგი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა, სტუდენტებს მისი თანაშემწე გელა წულაძე გაწვრთნის. ახლაც, სანამ ბესიკ ლიპარტელიანი პრეზიდენტობაზე კენჭისყრას საბოლოოდ გადაწყვეტს, თსუ-ს მისი დამხმარე მეურვეობს. ჩვენც ერთ-ერთ ვარჯიშზე გელა წულაძეს ვესტუმრეთ და გუნდის მზადყოფნასა და მიზნებზე გავესაუბრეთ.


გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

# სამმა ჩემპიონმა თსუ-ს მადა გაუხსნა

— ჩვენი გუნდი 15 აგვისტოს შეიკრიბა და ერთი თვის განმავლობაში ფიზიკურ მომზადებას გადიოდა. 16 სექტემბერს მალთაყვაში გავემგზავრეთ და ორი კვირა დარბაზში ბურთით სათამაშო ტაქტიკასა და კომბინაციებს ვხვეწდით.

**— როგორც ვხედავ, გუნდში სიახლეებია...**

— დიახ, გუნდი ხუთმა კალათბურთელმა დატოვა. მაისურაძე, ძმები ბერიშვილები, მაჭარაძე, ნათობაძე სხვა გუნდებში წავიდნენ. სამაგიეროდ, ძლიერი შევსება მივიღეთ. ორი ჩემპიონი — ლევან ქარაბაკი და ვალერი კილაძე თსუ-სთვის ძალიან დიდი ძალა იქნება. არანაკლებ გამოგვადგებიან კიდევ ერთი ჩემპიონი გიორგი ნიკოლაძე და ყოფილი მაკაბელი ირაკლი შანიძე. გვყავს ერთი ახალბედაც: ჩვენი გუნდის ცენტრ ზურაბ სანიკიძის უმცროსი ძმა ვიქტორ სანიკიძე. მწვრთნელებიც წლეულს მოვედით, თუმც ჯერ უფროსი მწვრთნელის საკითხი არ გადაწყვეტილა. უფრო სწორად ყველაფერი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ გაირკვევა.

**— ფიზიკურ მომზადებაზე რას იტყვით?**

— ჩვენ ამისთვის მძლეოსნობის სპეციალისტი გვყავდა მოწვეული და იგი მთელი თვე გუნდს თავისი პროგრამით ავარჯიშებდა. აქედან გამომდინარე ფიზიკური მომზადების დონის კმაყოფილი ვარ და მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდი პირველი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა ამ მხრივ.

**— მაგრამ მარტო ფიზმომზადება საკმარისი არაა...**

— მართალია. დასახვეწი გვაქვს სათამაშო ტაქტიკის ცალკეული დეტალები, მაგრამ ამისთვის დრო საკმარისია. ჩემპიონატის დაწყების შემდეგაც გვექნება საშუალება, ტაქტიკაზე ვივარჯიშოთ და თანდათანობით დავხვეწოთ იგი.

**— ალბათ ჩემპიონატის პირველ ეტაპს გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა.

**— ესე იგი მიგაჩნიათ, რომ ექვსეულში მოხვედრა გარანტირებული გაქვთ?**

— აუცილებლად. დღევანდელი შემადგენლობით ექვსეულში რომ ვერ მოვხვდეთ, სასწაული იქნება. მაგრამ აქვე იმასაც გეტყვით, რომ წლევანდელ ჩემპიონატში ადვილად არავინ არაფერს დათმობს. ძლიერი მოთამაშეები თანაბრად არიან სხვადასხვა გუნდებში გადანაწილებულნი და მცირე გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, ყოველი გამარჯვებისთვის გუნდებს დიდი ოფლის ღვრა დასჭირდებათ.

**— რომელ მათგანს გამოარჩევდით?**

— უპირველესად „ბასკოს". მართალია, ბათუმი ძლიერმა კალათბურთელებმა დატოვეს და გუნდი შარშანდელივით ძლიერი ველარ იქნება, მაგრამ შევსებაც სოლიდური მიიღო და ჩვენს უპირველეს კონკურენტად ის მიმაჩნია. „აზოტიც" აუცილებლად იბრძოლებს ჩემპიონობისთვის. ამისთვის შესწევთ ძალები, რადგან მათი კალათბურთელები უდიდეს გამოცდილებას ფლობენ. ეს კი, ჩემი აზრით, მთავარია წარმატების მისაღწევად. არც „სტუ-ჯეოსელია" ვინმეზე ნაკლები. აქეთ „დინამო", „მაკაბი" და ვფიქრობ, საინტერესო ჩემპიონატი გვექნება. უამრავი დაძაბული მატჩი გაიმართება, რაც ჩემპიონატის დონესაც აამაღლებს და მაყურებელიც იხეირებს.

**— როგორ ფიქრობთ, ჩემპიონატის არსებული სტრუქტურა იძლევა დონის ამაღლების საშუალებას?**

— ჩემი აზრით, სხვანაირად ვერც მოხერხდებოდა. ფედერაციას რისი შესაძლებლობაც აქვს, იმის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს.

**— გუნდს დავუბრუნდეთ. ლევან ქარაბაკს ძალიან მძიმე ტრავმა ჰქონდა და „ბასკოდან" მისი წამოსვლის მიზეზიც ეს გახდა. ახლა როგორ აქვს მუხლი?**

— შეიძლება იდეალური არ იყოს მისი მდგომარეობა, მაგრამ დამაკმაყოფილებელია. მან ფიზიკური მომზადების კურსიც გაიარა და კარგა ხანია, ტკივილი აღარ აწუხებს. რაც ყველაზე მთავარია, გამოჯანმრთელების პროცესი თვალსაჩინოა და იმედი მაქვს, ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდება.

**— გამოდის, მას მთელი დატვირთვით ვერ ათამაშებთ?**

— გააჩნია მატჩებს. ისე, ექვსეულამდე არა მგონია, ქარაბაკის ძალების მაქსიმუმის გამოყენება დაგვჭირდეს.

**— დაბოლოს, თქვენი გუნდის მიზანი...**

— ჩვენი პროგრამა-მინიმუმი სამეულში მოხვედრაა.

**— მაქსიმუმი?**

— ჩემპიონობა.

**ირაკლი ბერტაია**

# ბოისასთვის მინიევროლიგაში რვა წუთი გამოდგა

ბიბლიოთეკა

**რაც** ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგაა, ისაა კალათბურთში ევროლიგა და კონტინენტის ეს ყველაზე პოპულარული ტურნირი 10 ოქტომბრიდან იწყება. მასში სრულად არიან თავმოყრილი ევროპის უძლიერესი კლუბები. 32 გუნდი სულმოუთქმელად ელის ევროპის ამ ელიტარული ტურნირის სტარტს. მანამდე კი ექვს მათგანს ერგო პატივი, მონაწილეობა მიეღო ევროლიგის წინასასეზონო მინი-ტურნირში, რომელიც 2-4 ოქტომბერს გაიმართა ლიუბლიანაში.

პირველ დღეს „პანათინაიკოსი" ხორვატულ „ციბონას" შეხვდა, ხოლო მასპინძელი „ოლიმპია" ესპანურ „ტაუს". აღსანიშნავია, რომ ტურნირის კიდევ ორი მონაწილე, თელ ავივის „მაკაბი" და ბოლონიის „კინდერი", წინა წყვილებში გამარჯვებულებს ნახევარფინალში ელოდნენ. ზაგრების „ციბონამ" ადვილად დაამარცხა მრისხანე „პანათინაიკოსი" — 94:76 და ნახევარფინალში „კინდერთან" თამაშის უფლებაც მოიპოვა. ამ მატჩში ბერძენთათვის შეუჩერებელი მატეი მამიჩი შეიქნა, რომელმაც 24 ქულა ჩაუგდო სუპერლიგის შარშანდელ ფინალისტებს. უსახურად ითამაშა პანათინაიკოსელმა დეიან ბოდიროგამ, რომელმაც მხოლოდ 8 ქულა მიითვალა. ბერძნული კლუბის რიგებში კი ყველაზე გამორჩეული ხორვატი დამირ მულაომეროვიჩი იყო, რომელმაც თანამემამულეებს 14 ქულა ჩაუგდო.

„ოლიმპია" — „ტაუს" მატჩი გაცილებით დაძაბული გამოდგა. ვიტორიელები ლუის სკოლას ძალისხმევით, რომელმაც პირველ მეოთხედში 11 ქულა მოიხვეჭა, თავიდანვე წინ გავიდნენ და ბოლო მეოთხედის დაწყებამდეც ქულით იგებდნენ — 60:59, თუმც მასპინძლებმა, რომელთა სათადარიგოთა სკამზეც ვლადიმერ ბოისა მოკალათებულიყო (მას თამაშში მონაწილეობა არ მიუღია), საბოლოოდ არ გააწბილეს „ჰალა ტივოლში" შეკრებილი თანამემამულენი და ესპანელები —90:83 დაამარცხეს, რითაც სუპერლიგის გამარჯვებულ „მაკაბისთან" ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

სწორედ „ოლიმპია" — „მაკაბის" ნახევარფინალური შერკინება გამოდგა ამ ტურნირის ყველაზე დრამატული მატჩი, რომლის ბედიც დამატებით დროში გადაწყდა. ამ მატჩში რვა წუთი დაჰყო მოედანზე ვლადიმერ ბოისამ, რამელსაც ფარში სროლის შესაძლებლობა მხოლოდ ერთხელ მიეცა და მისი ორქულიანი არაზუსტი გამოდგა. ერთი, რითაც იგი თავის გუნდს შეეწია, 3 მოხსნა იყო.


**ზორან პლანინიჩი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს**

მასპინძლები პირველივე წუთებიდან დაწინაურდნენ და მთელი პირველი ნახევარი მაკაბელებს მდევრის როლში ამყოფებდნენ. იურიცა გოლემაცი და ირეი ველში ადვილად უმკლავდებოდნენ ებრაელთა დაცვას და დიდი შესვენების შემდეგ 43:36 იგებდნენ. მაგრამ სლოვენიელებმა მესამე მეოთხედი მეტად უსახურად ჩაატარეს, რითაც გასლოვენიელებულმა შაკკანიანმა, ამჟამად მაკაბელმა არიელ მაკდონალდმა ჩინებულად ისარგებლა და ახლა მასპინძლებს მოუხდათ მეტოქეთათვის კვალში ჩადგომა. ძირითადი დროის ბოლო სამ წუთში გოლემაცის, ველშის და ჰუკიჩის სასწაულებრივი სამქულიანებით „ოლიმპიამ" მოახერხა 11-ქულიანი დეფიციტის გაქვითვა. ბოისას გუნდს მოგებაც შეეძლო, თუმცა სუბოტიჩის სირენასთან ერთად არაზუსტად ნასროლმა დამატებითი დრო გარდაუვალი გახადა — 87:87.

დამატებითი ხუთწუთეული მასპინძლებმა ზუსტი სამქულიანით დაიწყეს, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხეს და ფინალში „მაკაბი" გავიდა, სადაც „კინდერის" დამმარცხებელ „ციბონას" შეხვდა.

ხორვატიის ჩემპიონისგან არც „პანათინაიკოსის" და არც „კინდერის" დამარცხებას არავინ ელოდა, მაგრამ როცა ზაგრებულმა კლუბმა ფინალში მათ „მაკაბიც" მიაყოლა და ტურნირის გამარჯვებული გახდა, მის მიმართ ყველამ აზრი შეიცვალა. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად კი ყველასთვის უცნობი 19 წლის ციბონელი ზორან პლანინიჩი დაასახელეს. ახლა სწორედ ზაგრებული კლუბი ელოდება ყველაზე მეტად 10 ოქტომბერს და თანაც თავაწეული.

**ირაკლი ბერტაია**


არიელ მაკდონალდის მცდელობის მიუხედავად, მისი „მაკაბი" „ციბონასთან" დამარცხდა


**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**

**განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური" აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში**

მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები

მისამართი: ზ. ფალიაშვილის №42 (57-ე საშუალო სკოლა) ☎ 29-11-78, 23-53-17

# ლეონსიოს მუხლი კასტრის შერკინებას დააკლდა

## ჯარისკაცი ცაბაძე ოპერაციისთვის ზაფხულამდე ვერ მოიცლის



***ცუდად წაუვიდა საქმეები ბორჯღალოსანთა ბურჯს და ლიდერს ლევან ცაბაძეს. სეზონის წინ იმედიანად იყო ქართველი ლეგიონერი, მაგრამ მუხლმა უმტყუნა და საოპერაციოც შეიქნა. მკურნალობას დაახლოებით თვენახევარი დასჭირდა. საფრანგეთის ჩემპიონატში მისმა „კასტრმა" უკვე სამი მატჩი ითამაშა, ევროპის საკლუბო თასზე კი ერთი. ჩვენებურმა მთლიანობაში სულ რაღაც 25 წუთი დაჰყო მოედანზე. ნელ-ნელა ლევან ცაბაძე სასურველ ფორმას იბრუნებს და მალე, ალბათ, სასტარტო შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდება. როდესაც ცაბაძეს საფრანგეთში შევეხმიანეთ პირველად ტრავმაზე ვკითხეთ.***

— ჩემთვის მოულოდნელად წინასასეზონო შეკრებაზე მენისკი აღმომაჩნდა. მუხლს ვერ ვხრიდი, ისე მტკიოდა. სამკურნალოდ ტულუზის ცნობილ ტრავმატოლოგიურ ცენტრს მივმართე. საკმაოდ კარგ სპეციალისტს მივანდე ჩემი მუხლი. მან მითხრა, ოპერაცია გესაჭიროება, მაგრამ არის კიდევ სხვა საშუალებები და შენთვის აჯობებს, ქირურგიულ ჩარევას თავი აარიდოო. მეც დავეთანხმე, ვინაიდან ოპერაციის შემდეგ აღდგენით პროცესს დაახლოებით ორი თვე დასჭირდებოდა. აბა, ამდენს გაცლიან კლუბში? თან ძნელია ამხელა პაუზის შემდეგ ძირითადში ადგილი დაიბრუნო. როგორია, კაცმა ორი თვე თავი არ დაზოგოს, მერე შენ ახალნაოპერაციევი მიხვიდე და შემადგენლობიდან ამოაგდო. ისე, თავს არ ვიქებ, მაგრამ უჩემოდ შერკინება ისე ვეღარ აწყვეს, როგორც ადრე.

**— მკურნალობამ როგორ ჩაიარა?**

— ნორმალურად. თერაპიის და მასაჟების შემდეგ მითხრეს, თუ თვენახევრის განმავლობაში მუხლი აღარ აგტკივდა, ესე იგი მკურნალობამ დადებითი შედეგი გამოიღოო. დათქმული ვადაც გავიდა და ვარჯიშსაც შევუდექი, მაგრამ ტკივილი ჯერ არ მქონია. ამ ხნის განმავლობაში სათადარიგო გუნდშიც ვითამაშე და პირველ გუნდშიც შევდიოდი შეცვლებზე. ასე რომ, მგონი, სერიოზულ გართულებებს გადავრჩი. თუმცა ოპერაცია მაინც გასაკეთებელია. გადავწყვიტე, ზაფხულში გავიკეთო, რადგან ზამთარში და გაზაფხულზე სანაკრებო მატჩები გველის და ამ დროს მცალია მე ოპერაციისთვის? ახლა სასურველ ფორმას ნელნელა ვიბრუნებ და იმედია ძველებურად ავთამაშდები.

**— მწვრთნელს ელაპარაკე?**

— ველაპარაკე. თანაც საფუძვლიანად. ვკითხე, ბოლო-ბოლო რას მიპირებდა, მათამაშებდა თუ არა ძირითადში. სათადარიგო სკამზე ჯდომის პერსპექტივა ნამდვილად არ მხიბლავს. ჩემს ადგილზე ახლა სამხრეთაფრიკელი ბრენდ მუაილი დგას. ზე-12-ში უთამაშია თავის დროზე და გამოცდილიც არის, მაგრამ მისი არ მეშინია, მომცენ შანსი და ჩემსას დავამტკიცებ. მწვრთნელიც მეუბნება, ვარჯიში გააგრძელე და შენი დროც მოვაო.

**— ჩემპიონატში ცუდად მიგდით საქმეები. სამი თამაშიდან ორი წააგეთ.**

— სეზონი ძალიან ცუდად დავიწყეთ. მართალია, პირველ მატჩში შინ „ნარბონს" მოვუგეთ, მაგრამ მერე ზედიზედ ორჯერ დავმარცხდით. ჯერ გასვლაზე წავაგეთ „მონფერანთან" და მერე საკუთარ სტადიონზე „ბურგუენთან". არადა, ბოლო ექვსი წლის მანძილზე „კასტრს" შინ არ წაუგია და ამ მარცხმა გულშემატკივართა და უფროსობის გულისწყრომა გამოიწვია.

**— კლუბის უფროსობის მხრიდან წაგებებს რაიმე სანქციები ხომ არ მოჰყოლია?**

— თუ ფინანსური მხარე გაქვს მხედველობაში, გეტყვი, რომ ჩვენთან მსგავსი სანქციები მიუღებელია. აქ არ არის ასეთი პრაქტიკა, რომ მორაგბეებს ხელფასი დაუქვითონ, ან მსგავსი რამ მოხდეს, მაგრამ საკმაოდ გაბრაზებულები არიან, სულ თვალებს გვიბრიალებენ. ადრე თუ ვარჯიშზე მცირე ხნით დაგაგვიანდებოდა, ხმის ამომღები არ იყვნენ, ახლა კი ერთ წამიც რომ დააგვიანო, შეიძლება გუნდიდან გაგაგდონ. ჯარისკაცებივით ვართ, ყაზარმულ რეჟიმზე გადაგვიყვანეს: დილით ვარჯიში, მერე ადგენითი პროცედურები, საღამოს ისევ ვარჯიში, შინაც ვერ მივდივართ.

**— კლუბის გამლიერებას ხომ არ აპირებენ?**

— ამ ეტაპზე არა. სატრანსფერო სეზონი უკვე დაიხურა. შეიძლება, ზამთრის არდადეგებზე მოიყვანონ ახალი მორაგბეები.

**— ევროპის საკლუბო თასზეც პირველ ტურში დამარცხდით. შენი გვარი ვერც სათადარიგოებში ამოვიკითხეთ. არ წაგიყვანეს ირლანდიაში?**

— არა, მითხრეს, ჯერ მზად არა ხარო. მომავალი ტურისთვის მამზადებენ. 22-კაციან განაცხადში შემიყვანეს. ისე, ცუდად არ უთამაშიათ, ირლანდიის „მანსტერი" ძლიერი კლუბია, თავისი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი. როგორც მითხრეს, ბოლო ოცი წუთი ჩვენებს მეტოქე აშკარად დაუჩაგრავთ, მაგრამ შედეგზე ეს არ ასახულა. საერთოდ, რაღაც უიღბლობა დაგვჩემდა. სხვათა შორის, მწვრთნელი და პრეზიდენტი კმაყოფილნი იყვნენ ბიჭების გარჯით. აუგი არ დასცდენიათ.

**— ნოემბერში საფრანგეთის „ა" ნაკრებს რომ ვეთამაშებით, „კასტრიდან" თუ არიან კანდიდატები?**

— იყო მიწვეული მე-9 ნომერი ალექსანდრ ალბი, მაგრამ ტრავმა მიიღო და კარგა ხნით მოუწევს ექიმებთან სირბილი. მეტი „კასტრიდან" არავინ გამოუძახებიათ.

ისე, ფრანგები არაფერს ლაპარაკობენ ამ მატჩზე. თითქოს პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. დიდად არც მე ვაწუხებ, რომ დავემუქრო და წავაგოთ, მერე ამათი ყბიდან რა ამოვა. ჯობია, ჩუმად ვიყო და თუ მოვუგეთ, ხომ ავიკლებ ამათ. ძალიან ძნელი მატჩი იქნება. ძლიერ შემადგენლობას მოუყრიან თავს. არ არის გამორიცხული, პირველი ნაკრებიდანაც ათამაშონ სამი-ოთხი მორაგბე.

**ბაჩო სვანიძე**

---

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# მისტერ ოქტომბერი

4 ოქტომბერი

**ბოსტონი 4:2 ანაჰაიმი (1:0 3:2 0:0)**
1:0 ბოინტონი 6(1), 1:1 ფრიზერი 22(1), 2:1 ტორნტონი 29(1), 3:1 როლსტონი 36(1), 3:2 კარია 36(1), 4:2 სამსონოვი 57(1)

**კოლუმბუსი 3:3 სენტ ლუისი (1:0 0:2 2:1 0:0)**
1:0 სანდერსონი 1(1), 1:1 სტილმანი 23(1), 1:2 დემიტრა 27(1), 2:2 ოდელეინი 56(1), 2:3 კონი 57(1), 3:3 კლესლა 58(1)

**ოტავა 4:6 მონრეალი (0:2 1:2 3:2)**
0:1 პეტროვი 4(1), 0:2 პერო 15(1), 1:2 ბონკი 23(2), 1:3 რობიდასი 36(1), 1:4 პეტროვი 39(2), 2:4 მარტინსი 51(1), 3:4 ბონკი 52(3), 3:5 კილგერი 53(1), 4:5 რედენი 58(2), 4:6 სავაჟი 60(1)

**ფილადელფია 5:2 ფლორიდა (1:1 0:0 4:1)**
0:1 მუსელიუსი 9(1), 1:1 უეინრიჩი 17(1), 2:1 უილიამსი 45(1), 3:1 ლეკლერი 47(1), 4:1 რენიკი 50(1), 4:2 კოზლოვი 51(1), 5:2 უილიამსი 60(2)

**სან ხოსე 3:4 დეტროიტი (0:0 1:1 2:2 0:1)**
1:0 ტორნტონი 29(1), 1:1 შენაჰანი 35(1), 1:2 შენაჰანი 41(2), 1:3 ჰალი 46(1), 2:3 მარო 52(1), 3:3 მარვი 56(1), 3:4 შენაჰანი 62(3)

**ვანკუვერი 4:5 ჩიკაგო (1:3 1:2 2:0)**
1:0 ბრაშირი 1(1), 1:1 ჰაუსლი 8(1), 1:2 ჰაუსლი 15(2), 1:3 კოლდერი 15(1), 1:4 დაზე 31(1), 2:4 კლეტი 32(1), 2:5 სალივანი 34(1), 3:5 ნესლუნდი 41(1), 4:5 დ. სედინი 56(1)

**ლოს ანჯელესი 2:2 ფინიქსი (1:0 1:2 0:0 0:0)**
1:0 მიური 15(1), 1:1 ლემიე 23(1), 2:1 სმოლინსკი 29(1), 2:2 ბრირი 37(1)

**ბუფალო 1:2 ატლანტა (0:1 0:0 1:1)**
0:1 კაბერლე 12(1), 0:2 დონოვანი 49(1), 1:2 ვული 60(1)

ყველაზე მეტს, რა თქმა უნდა, დეტროიტის ვარსკვლავური ტრიოსგან ელოდნენ. „წითელფრთიანების" და სან ხოსეს შეხვედრას, რომელიც ისედაც დღის ცენტრალური მოვლენა გახლდათ, შესანიშნავმა სამეულმა ხიბლი კიდევ უფრო შემატა. თუმცა, ბედის ირონიით, მატჩების უმრავლესობისგან განსხვავებით, შეხვედრის გმირი არა ჰაშეკი, რობიტაილი ან ჰალი, არამედ დეტროიტის მრავალწლიანი ლიდერი ბრენდან შენაჰანი გახდა.

ოვერტაიმის დაწყებას მასპინძლები, სან ხოსეს ქომაგები, კარგი ამბების მოლოდინში შეხვდნენ. ძირითადი დროის მიწურულს დეტროიტელმა სერგეი ფიოდოროვმა წესები დაარღვია და გუნდი უმცირესობაში დატოვა. აქ კი მოულოდნელი რამ მოხდა — მეკარე ევგენი ნაბოკოვმა შაიბა ბორტის იქით გადააგდო, მაგრამ რეზინის დისკი ასხლტა და პირდაპირ ბრენდან შენაჰანს მიუვიდა, რომელმაც ეს საჩუქარი შეირგო. მართალია, გოლი შემთხვევითი იყო, მაგრამ შენაჰანმა იგი სავსებით დაიმსახურა, რადგან ძირითადი დროის განმავლობაშიც საუკეთესო იყო თავის გუნდში და სეზონში პირველი, ხოლო კარიერაში მე-14 ჰეთ თრიქი შეასრულა.

არადა, სტუმრებს ოვერტაიმამდე არ უნდა მიეყვანათ საქმე — მესამე პერიოდის შუაგულისთვის ხომ მათ თითქმის განაღდებული ჰქონდათ მოგება. შენაჰანის ორი და ჰალის ერთი გოლის წყალობით დეტროიტი 3:1 იყო წინ. ჩვეულად საიმედო იყო კიდევ ერთი ახალწვეული, დომინიკ ჰაშეკიც. მაგრამ „დომინატორის" გაუმართლებელი მოქმედება, კარის დატოვება, „წითელფრთიანებს" გამვებულ გოლად დაუჯდათ, ხოლო 56-ე წუთზე ტოდ ჰარვიმ გაათანაბრა. თუმც ბოლოს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბედმა სტუმრებს გაუღიმათ.

